პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 127 (19868) ოთხშაბათი, 3 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ყურადღება — თაოსნობა!

შეეჯიბრეთ, საკვებმომპოვებლებო!

საკვებმომპოვებლებს დიდი გამოცდის პერიოდი დაუდგათ — მიმდინარეობს ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა, თივისა და სენაჟის დამზადება. თივისა და სენაჟის, შემდეგ კი სიილოსის, ნამჯისა და ბალახის ფხვნილის დამზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრება მთელი ძალით ჩაიდება.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია, საქართველოს სახაგრომრეწვი მეტი და მაღალხარისხოვანი უხეშში და წვნიანი საკვების დაგროვების მიზნით აწესებენ გარდამავალ წითელ დროშებსა და ფასიან სიჩუქრებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარის და მთიანი ზონებისათვის ცალ-ცალკე. დროშები და ფასიანი სიჩუქრები წესდება იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებლებისათვის, რომლებიც დიდძალ და მაღალხარისხოვან უხეშ და წვნიან საკვებს დააგროვებენ.

შეჯიბრების შედეგებს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებების წარდგენით შეაჯამებს რედაქციისა და სახაგრომრეწვის შესაბამისი სამმართველოს გაერთიანებული ეიური.

„კომუნისტის“ რედაქცია და საქართველოს სახაგრომრეწვი აწესებენ გარდამავალ დროშებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწოგადოებრივ მეურნეობათა საკვებმომპოვებლებისათვის

„კომუნისტის“ რედაქცია ქმნის საგუშაგოებს. საგუშაგოები (გაზეთის კორესპონდენტები და საკუთარი კორესპონდენტები) რეგულარულად შეამოწმებენ და გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდავენ უხეშში და წვნიანი საკვების დაგროვების, ფერმებთან მიტანის მიმდინარეობას. საგუშაგო მოურიდებლად ამხელს ნაკლოვანებებსა და წუნს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საზოგადოებრივ მეურნეობებს საზეიმოდ გადაეცემათ ჯილდოები და გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდება მათი გამოცდილების ამსახველი კორესპონდენციები და ფოტოები.

მთელი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საკვების დასაგროვებლად!

საჭიროა საკვების წლიანახევრის მარაგი

ნლევანდელმა დიდთოვლობამ, წყალდიდობამ, მეწყერიანობამ, ხშირმა სეტყვამ და ბოლოს გრიგალმა საქართველოს სოფლის მშრომელები უდიდესი გამოცდის წინაშე დააყენა. ბუნების ასეთი განრისხება და გაავება არავის უნახავს. ნაილეკა ნათესები, ბაღ-ვენახები, მინდვრები და ფერმები. აურაცხელი ზარალი ნახეს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. გარდა ამისა გაზაფხულმა ისე დაიგვიანა, რომ ბარის რეგიონში, რომ იტყვიან, ზამთრიდან პირდაპირ ზაფხულში აღმოჩნდნენ. ამან სოფლის მშრომელებს ახალი დიდი საზრუნავი გაუჩინა.

ამის შედეგად შეფერხდა ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მათ შორის პირუტყვის საკვების დაგროვება. მართალია ზამთრიდან თითქმის ზაფხულში აღმოჩნდნენ, მაგრამ ბუნებას მაინც თავისი გააქვს. დაბლობი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს სხვა სამუშაოებთან ერთად ბალახის თიბვაც დაემატა. გარდა ამისა თავთავიანების დასეტყვული ყანებიც ბევრგან დაუყოვნებლივ გასათიბია. ეს კი ნიშნავს, რომ ახლა სოფლად უამრავი სამუშაოა და თუ არა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების რიგიანად ორგანიზატორული მოქმედება, ბევრი სამუშაო დროულად ვერ შესრულდება. დაგვიანება კი შეცდომებს, ჩამორჩენას და დანაკარგების მომატებას იწვევს. ბალახის სათიბად გავიდნენ დაბლობი რაიონების მექანიზატორები, მათ უნარსა და გარჯაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

როგორც ყოველთვის, ახლაც ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს ყუათიანი თივისა და სენაჟის დასამზადებლად. მთავარი კი ის არის, რომ დროზე გათიბული ბალახისაგან მეტი და მაღალხარისხოვანი საკვების მიღება გარანტირებული იქნება. ამიტომაც ყველა ღონისძიება უნდა იხმარონ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, საკვებმომპოვებლებმა, რათა შემჯიდროებულ ვადაში გათიბონ ბუნებრივი და ნათესი ბალახები.

რამდენიმე წელია გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია საკვების დაგროვების სეზონის დადგომისთანავე იწყებს თაოსნობას — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საკვებმომპოვებელი ბრიგადებისათვის აწესებს გარდამავალ ვიმპელსა და ფასიან სიჩუქარს. შარშანდელი შეჯიბრების შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდნენ და რედაქციის ვიმპელები და ავტომანქანის ტელევიზორები მიიღეს ნალენჯიხისა და თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობების იმ საკვებმომპოვებელთა ბრიგადებმა, რომლებსაც გ. მანია და მ. ნიკოლაური ხელმძღვანელობენ. ნლეულსაც მთელი ძალით უნდა გაჩაღდეს შეჯიბრება. ამჯერად რესპუბლიკის სახაგრომრეწვი და „კომუნისტის“ რედაქცია აწესებენ გარდამავალ დროშებსა და ფასიან სიჩუქრებს.

ნლეულს თიბვა და საერთოდ საკვების დამზადება ერთობ ძნელ პირობებში დაიწყო. ახლა განსაკუთრებით საჭიროა უფრო მეტი ორგანიზებულობა, უფრო მეტი შემართება, უფრო მეტი სიმტკიცე და, რაც მთავარია, დისციპლინა, შრომის დისციპლინა!

უწინარესად სეტყვისაგან დაზიანებულ მინდორს უნდა მივხედოთ. ის ნათესები, რომელთა გამოკეთება უიმედოა, დაუყოვნებლივ უნდა გავთიბოთ და სასენაჟედ ნესების ზუსტად დაცვით ჩავდოთ. ერთი ნიუანსიც უნდა გავითვალისწინოთ: საკვებ ულუფაში დიდმნიშვნელოვანია ნვნიანი საკვები. სეტყვისაგან დაზიანებული ნათესი ბალახებისა და თავთავიანების აღებისთანავე მინდორი დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას და იქ სახილოსე კულტურები დავთესოთ. ეს საკვები მარაგის დაჩქარებით შევსების საშუალებას მოგვცემს. ამ მხრივ კარგად მოიქნენ თელავის რაიონის კურდღლაურის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელები. თავად თავმჯდომარის ზედამხედველობით დასეტყვილ თავთავიანებს პირწმინდად იღებენ და სასენაჟედ დებენ; მომკილ მინდორს ხნავენ და მეორე მოსავლისათვის სახილოსე კულტურებს თესავენ. ამით ორი საქმე კეთდება, იმარაგებენ ყუათიან საკვებს — სენაჟს და ნაწვერალზე ადრე თესავენ სახილოსე კულტურებს. ესეც აჩქარებს საკვების დაგროვების სამუშაოებს.

დასეტყვილ მინდორში გათიბული მწვანე მასა ყუათიანი საკვებია ძროხებისათვის. საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების, სპეციალისტების, მექანიზატორების საპატიო ვალია გათიბული მწვანე საკვები დროულად მიუტანონ პირუტყვს. ეს წველადობის გაზრდის უტყუარი საშუალებაა და იგი ყველგან უნდა გამოიყენონ, სადაც ასეთი ვითარება შეიქმნება.

გულრიფშის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს შერიის აღება და დასნაყვება. აქ 330 ტონა სენაჟი ჩადეს, სასილოსედ კი 750 ტონა მწვანე მასას ჩადებენ. გარდა ამისა მოიმარაგებენ ძირხვენებსა და კომბინირებულ საკვებს. ამით ისინი მთლიანად უზრუნველყოფენ პირუტყვს ყუათიანი საკვებით, შზად შეხვდებიან გამოზამთრებას. რუსთაველელთა მაგალითით პირუტყვის საკვების დიდი მარაგისათვის ორგანიზებულად შრომობენ მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა საკვებმომპოვებლები.

მოსალოდნელია, რომ პურეულის მკაც დაგვიანებით დაიწყოს. ახლა პურეულის ასაღები ტექნიკა მზად უნდა იყოს, მაგრამ თუკი სადმე დარჩენილა შეუკეთებელი მანქანები, დაუყოვნებლივ უნდა დამთავრდეს ეს სამუშაო; პურეულის მკა დროზე უნდა დამთავრდეს. მაღალხარისხოვნად უნდა შესრულდეს მკის სამუშაოები, არ უნდა გადავამეჩიოთ ყანები. ამასთან გამზადებული უნდა იყოს სახნავ-სათესი მანქანები და მიბაბმელები. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მკის დამთავრებისთანავე მიწა გავამზადოთ სახნავად და სასილოსე კულტურების დასათესად. ამით, გარდა იმისა, რომ პირუტყვის საკვები ბაზის განსამტკიცებლად ენერგიულად ვიბრძოლებთ, ხელსაც შევუწყობთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკვების დასამზადებლად, 1987-1988 წლის ზამთრისათვის წლინახევრის მარაგის შესაქმნელად სამუშაოთა ორგანიზებულად წარმართვის დამატებითი ღონისძიებების საკითხი. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სახაგრომრეწვმა ძირითადად დროულად შეიმუშავეს და ახორციელებენ ორგანიზატორულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის მეოთხე პლენუმის მიერ დამტკიცებული საკვებწარმოების მიზნობრივი პროგრამის რეალიზაცია.

ამასთან ერთად, ნათქვამია მიღებულ დადგენილებაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, წელს ექსტრემალურ ამინდის პირობებს ყველგან როდი დაუპირისპირეს ზუსტი და შეთანხმებული მუშაობა, რასაც მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მოჰყვა. მაისის მეორე დეკადის მიწურულისთვის მრავალწლოვანი ბალახების თესვის ვეგეტაციის 84 პროცენტით იყო შესრულებული, ერთწლოვანებისა — 7,3, სასილოსე სიმინდისა — 69 პროცენტით, ახალქალაქის, გარდაბნის, ვურჯანის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები საკვების დამზადების სეზონისათვის მოსამზადებლად.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ერთობლივმა რვიდმა მაიაკოვსკისა და თერჯოლის რაიონებში გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი საკვები კულტურების თესვის საქმეში. იმედია, აქ ჩამოთვლილი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები დღევანდელობის სულისკვეთებით მიუდგებიან საკვების დამზადების საქმეს და ნაკლოვანებებს უმოკლეს ვადაში გამოასწორებენ, ყოველ ღონისძიებას იხმარენ, რომ მომავალი გამოზამთრებისათვის პირუტყვს საკმაოზე მეტი ყუათიანი საკვები დაუმზადონ.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საკვების უხარისხობა. იმის გამო, რომ ყვარლის აგროქიმიური ლაბორატორია ტექნიკურად მთლიანად არ არის აღჭურვილი, კონტროლს ვერ უწევს საკვების ხარისხს. მთელ რიგ რაიონებში სათავსების უქონლობის გამო ფუჭდება ბალახის ფხვნილის ხარისხი.

პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგის შესაქმნელად ზრუნვა დაწყო. ახლა სასოფლო რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, საზოგადოებრივ მეურნეობათა საკვებმომპოვებლებმა დროის მაქსიმალური გამოყენებით, რესურსებისა და რეზერვების ამოქმედებით ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა მოკლე დროში გამოასწორონ. მინდვრად არ უნდა დარჩეს არც ერთი კილოგრამი ბალახი, თავთავიანების ნაბჯა. მომავალი გამოზამთრებისათვის მთლიანად უნდა უზრუნველყოთ პირუტყვი ყოველგვარი ყუათიანი საკვებით.

ი. კ. ლიგაჩოვი საქართველოში

განვამტკიცოთ დაჩქარების საძირკველი

2 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი იყო ქალაქ ფოთში. იგი გაეცნო აქ შექმნილი ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების საქმიანობას.

ფოთის ცნობილი ექსპერიმენტი, რომელიც ოთხმოცდანი წლების დამდეგს იშია და რომელმაც მოწონება და მხარდაჭერა პოვა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში, სამედო ბერკეტი გახდა ტერიტორიული და დარგობრივი ინტერესების ოპტიმალური შეხამების საქმეში. ამ სამეურნეო-მმართველობითს სიახლეს, რომლის მთავარი ამოცანაა ქალაქის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, თავისი კონკრეტული მიზნები აქვს. ეს არის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გაღიდებაში ქალაქის წვლილის გაზრდა, ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს და მისი აღმასკომის უფლებებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციათა მკაფიო გამიჯვნა, დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფა. და რაც მთავარია — კარდინალური ძვრები სოციალურ სფეროში.

ფოთელთა თაოსნობის წყალობით მომხდარ ცვლილებათა რეალურობაზე დღეს აღარავინ კამათობს, თუმცა ექსპერიმენტის დაწყებისას არცთუ ისე ცოტა ადამიანს ეეჭვებოდა მისი წარმატება. აღმასკომის ახალი ორგანოს მუშაკთა დიდი კომპეტენტურობა, საქალაქო ორგანიზმის რთული ცხოვრების მაჯისცემის შეგრძნება მათი უნარი და სოციალისტური გერგილიანობა საფუძვლად დაედო სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და ფოთის ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივი, რესპუბლიკური თუ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ურთიერთობის სრულყოფას.

ლაკონიურად და მოკლედ თუ გამოვხატავთ ექსპერიმენტის მთავარ მიღწევას, მაშინ, თვით ფოთელების ნათქვამი უნდა მოვიყვანოთ: ჩვენი აღმასკომი ხელგაჭედილი აღარ დადის და დარგებს ქალაქის საჭიროებებისათვის სახსრების გაღებას აღარ ეხვეწება, იგი ახლა ქალაქის ნამდვილი პატრონი, მისი ნამდვილი მშენებელი გახდა. საქმის ასეთი დაყენების უფლება ტერიტორიულ-დარგთშორისმა გაერთიანებამ თავისი მუშაობით მოიპოვა.

ფოთის ექსპერიმენტთან, მის გავრცელებასთან, უკვე შეძენილი გამოცდილების გაღრმავებასა და განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები დაედო საფუძვლად ღრმა, დაინტერესებულ საუბარს ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების „შრგვალ მაგიდასთან“, რომელიც ი. კ. ლიგაჩოვმა მოაწყო. სოუბარში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ქალაქ ფოთის პარტიული და საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

ტერიტორიულ-დარგთშორ ი ს ი გაერთიანების მუშაობის კონკრეტულ მიმართულებათა შესახებ ილაპარაკა მისმა უფროსმა, ფოთის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ს. ტახოვმა. ახლა ფოთის საზეიმეურნეო ორგანიზაციათა ზეგეგმითი მოგების თავისუფალი ნაშთის ნახევარი ქალაქის განკარგულებაშია, აღნიშნა მან. ეს საშუალებას იძლევა, რომ დიდძალი სახსრები მოხმარდეს დიდი მასშტაბის ეკონომიკურ და სოციალურ აქციებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საიჯარო სამუშაოთა მთელი კაპიტალური დაბანდებები და ლიმიტები ახლა აღმასკომს გადაეცემა და იგი თვითონ წყვეტს — რა, სად და როდის ამეროს. ესე იგი, განსაზღვრავს პრიორიტეტს როგორც ქალაქის, ისე ქარხნების სარგებლობის თვალსაზრისით. აქ ასეთად მიიჩნიეს ტექნოლოგიური აღჭურვილობის გამომშვები საწარმო, რომელიც მალე აკისრებს ინსტრუმენტით, მოწყობილობით და სხვა აღჭურვილობით ქალაქის ყველა საწარმოს უზრუნველყოფას.

ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლის დიდმნიშვნელოვანი წყარო ფასდა ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების შუამავლობა, მის მეერ შრომითი კოლექტივების მომსახურება. მოიყვანეს ასეთი ფაქტები: საზღვაო ნავსადგურში რკინიგზის ვაგონების დასამშვავებლად განკუთვნილმა ახალმა სატვირთო ბაქანმა არა მარტო საშუალება მისცა საწარმოებს, რომლებსაც საკუთარი მისასვლელი გზები არა აქვთ, დროულად მიეღონ ტვირთი, არამედ ნორმატივთან შედარებით სამი საათითაც შამცირა მოძრავი შემადგენლობის მოცდენა. ანდა ავიღოთ ეგრეთ წოდებული დამნერგავი ბრიგადები: ისინი ხელშეკრულებას უდებენ საწარმოს და წყვეტენ მისთვის საჭირო ტექნოლოგიურ პრობლემებს, ამასთან თავიანთი ნამუშევრები საბოლოო შედეგამდე მიჰყავთ: საკონსტრუქტორო კუღმანიდან დანერგვამდე.

ტერიტორიულ-დარგთშორ ი ს ი გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მასობრივი მოთხოვნის, ძირითადად ნარჩენებისა და ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული ნაწარმის გამოშვების გადიდება. სტატისტიკა მოწმობს: გაერთიანების შექმნის მომენტიდან ფოთში მეორეული რესურსების გამოყენება გაიზარდა 10-ჯერ, გაორკეცდა ხალხისათვის განკუთვნილი საქონლის წარმოება. ფოთელთა მიერ ორიენტირად აღებული „უნარჩენო ქალაქის“ ლოზუნგის მიზანდასახულმა პრაქტიკულმა რეალიზაციამ საშუალება მისცა მათ გაეზარდათ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება 7 მანეთამდე ქალაქის ყველა ეშრომლების ხელფასის ფონდის ყოველ მანეთზე გაანგარიშებით. მნიშვნელოვანწილად სწორედ ნარჩენების გამოყენების და მათი იმ წარმოებებში ზუსტი გადანაწილების წყალობით, სადაც ნარჩენების გადამუშავებისაგან ყველაზე დიდი ეფექტია მოსალოდნელი, შედეგ ტერიტორიულ-დარგთშორისმა გაერთიანებამ ორი მილიონი მანეთის დამატებითი სახსრების მიღება, რომლებიც გამოყო სასამთბრე კომბინატის, საზაფხულო კინოთეატრის, საცხოვრებლის, სხვა სოციალურ-კულტურულ ობიექტშენებლობათა ასაგებად.

განსაზღვადა რა ფოთის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების მიერ გაწეული მუშაობა, საქართველოს სსრ სახელმწიფოს ეგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. დ. გულუამ თქვა, რომ ახლა რესპუბლიკაში 8 ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანება მოქმედებს, დასახულია მათი განშტოებული სისტემის შექმნა რესპუბლიკაში. საგულისხმოა, რომ ამ ახალი მმართველობითი ქვეგანაყოფების შექმნას არ მოჰყოლია ადმინისტრაციული პერსონალის რიცხვის ზრდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღმასკომების ადგილში მუშაობა დაიწყეს კომპეტენტურმა, მცოდნე სპეციალისტებმა. მაგრამ ის ფაქტიც უნდა ვაღიაროთ, რომ ფოთის ბამოცდილება არასაკმარისად აქტიურად ვრცელდება და ზოგჯერ გულგრილობას, გარდაქმნის უსურველობას აწყდება. და აქ ძალზე საჭიროა პარტიული კომიტეტების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმას, რომ სიახლეს მწვანე გზა ჰქონდეს.

განხილვის დროს ი. კ. ლიგაჩოვი დაინტერესდა ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების საქმიანობის მრავალი საკითხით, გამოთქვა კონკრეტული რეკომენდაციები. კერძოდ, თქვა, რომ საჭიროა ყველა პროცესის მართვა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, იმის ზუსტად ცოდნა, თუ რას აძლევენ ქალაქი და რესპუბლიკა სახელმწიფოს და რას იღებენ მისგან. ეს პრინციპული პოზიციაა იმისათვის, რომ სწორად ვაფასებდეთ საკუთარ როლს სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

ი. კ. ლიგაჩოვი: ჩვენ მტკიცედ დავადექით საბჭოების ოფლებებისა და უფლებამოსილების გაფართოების გზას. მიღებულია შესაბამისი დადგენილება მათი როლის გაძლიერების შესახებ. და მაინც: რა არის კიდევ საჭირო? კიდევ სად არის გასადიდებელი საბჭოების უფლებები?

ბ. დ. გულუა: დადგენილებაში აღნიშნული იყო დავალებები სხვადასხვა ორგანოებისადმი. ჯერჯერობით არ არის ნორმატიული აქტები. ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. და კიდევ ერთი რამ: თუ წინათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მიზნად ისახავდა ადამიანების დარწმუნებას ექსპერიმენტის სარგებლობაში, ახლა მან თვითონ დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, მისი დადებითი შედეგები ადამიანებს დაეხმარა ერწმუნათ ამ წამოწყების აუცილებლობა.

ი. კ. ლიგაჩოვი: მინდა მადლობა გადაგიხადოთ ინიციატივისათვის, რომელსაც უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. არ გავზვიადებ, თუ ვიტყვი, რომ თქვენი გამოცდილება მთლიანად იქნება გამოყენებული ჩვენს ქვეყანაში დასახულ სახალხო მეურნეობის მართვის კარდინალურ რეფორმაში. თქვენი მაგალითისამგრო ყველგან — ოლქებშიც, რაიონებშიც და ქალაქებშიც — ჩამოვაყალიბებთ მართვის ამგვარ ორგანოებს, რომლებიც ერთმანეთს უზამენ ტერიტორიულ და დარგობრივ პრინციპებს. თქვენი გამოცდილება განსაკუთრებით საგულისხმო იმით არის, რომ გამონახეთ ისეთი ფორმა, რომელიც კი არ ასუსტებს საბჭოებს, არამედ განამტკიცებს მათ, კი არ აშორებს ტერიტორიაზე ეკონომიკის მართვის ორგანოებს საბჭოებისაგან, არამედ უერთდება მათ. საჭიროა ყოველნაირად დავნერგოთ მართვის ეკონომიკური მეთოდები, რომლებიც ზრდის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას და ხელს უწყობს ქალაქის, როგორც ერთი მთლიანის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ი. კ. ლიგაჩოვი იყო მაღაზიაში, სადაც ფოთში დამზადებული სახალხო მოხმარების საქონელი იყიდება. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ქალაქში დაადგენენ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაკმაყოფილების მართებულ კურსს და სწორად განსაზღვრეს მისი რეალიზაციის გზები: ერთი პატრონის — ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების — ხელშია თავმოყრილი საქონელზე ხალხის მოთხოვნილების შესწავლა, მისი წარმოება და რეალიზაცია.

განსაკუთრებული საუბრის თემა გახდა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გაშლის, კოოპერატივების შექმნის საკითხები, რომლებმაც საზოგადოებაში არსებული საქონლისა და მომსახურების ნაკლებობა უნდა შეავსონ. მაგრამ ამ ახალ საქმეს კომპეტენტურად უნდა ვუდგებოდეთ, ზუსტად გწონდეთ მის ავსა და კარგს. არის ასეთი ანდაზა, სანამ შეხვიდოდე, იფიქრე, როგორ გამოხვიდეო. როცა ეს სიტყვები კონკრეტულ პრობლემებს მიუსადაგა, ი. კ. ლიგაჩოვმა თქვა, რომ საკოოპერაციო საქმიანობაში არსებულ პრობლემებს წინასწარ უნდა ვწყვეტდეთ, ვითვალისწინებდეთ ყველა ნიუანსს. ყოველთვის სწორი არ არის, როცა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სფეროში ამამენ საზოგადოებრივ წარმოებაში ყოველდღიურად დასაქმებულ ადამიანებს. კაცს ხომ სჭირდება საზოგადოებრივი საქმიანობის, კულტურული დასვენების, მოცალეობის დროც.

შემდეგ ი. კ. ლიგაჩოვმა დაათვალიერა საქართველოს სსრ ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებებისა და სანენერო დარგობრივი ცენტრების პროდუქციის გამოფენა. აქ გამოტანილი ექსპონატები ძირითადად მასობრივი მოთხოვნის ნაწარმს წარმოადგენენ, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დეფიციტურად ითვლება. მისცა რა დადებითი შეფასება ზოგიერთ საქონელს, ი. კ. ლიგაჩოვმა ამავე დროს ყურადღება გამამახვილა პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლის ხალხისათვის განკუთვნილი საქონლის ინდუსტრიის განვითარებას.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ უნდა დაჩქარდეს საწარმოთა მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლა. უნდა გაძლიერდეს საინჟინრო სამსახურების როლი და გაფართოვდეს მათი საქმიანობის სფერო. იმას, თუ რაოდენ ბევრი სასარგებლო რამის გაკეთება შეუძლიათ მათ, მოწმობს რესპუბლიკაში საინჟინრო დარგობრივი ცენტრების შექმნის გამოცდილება.

* * *

ქართული ჩაის ხარისხზე, დარგის განვითარების პერსპექტივაზე მწვავე, პრინციპული საუბარი გაიმართა რესპუბლიკის წამყვანი მეჩაიეობის რაიონის — მახარაძის რაიონის ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობაში. აქ, სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პლანტაციებში იქნა განხილული ამ ძვირფასი კულტურის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები.

ი. კ. ლიგაჩოვი: რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოდევნებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართული ჩაის ხარისხზე, ესოდენ რომ სჭირდება ქვეყანას. საზოგადოებრივმა შეშფოთებულია ამით, რომ ჩაის ხარისხი გაუარესდა. ამაზე იყო ლაპარაკი პარტიის ყრილობაზეც და პლენუმებზეც. მე არ მინდა იმის თქმა, რომ რესპუბლიკაში არაფერი კეთდება სიტუაციის შესაცვლელად, მაგრამ პრობლემა ჯერ არ გადაჭრილა. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა გავაუმჯობესოთ მთელი პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა — საკვები პროდუქციის ხარისხი, და, ამიტომ, შექმნილი მდგომარეობა შეუწყნარებელია.

ჩაის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა წითელ ზოლად გასდევდა საუბრებს მეცნიერებთან, სპეციალისტებთან, მეჩაიეებთან. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილემ რ. დ. ფანცხავამ აღნიშნა, რომ პლანტაციების მნიშვნელოვანმა ნაწილმა — თითქმის 41 პროცენტმა — პრაქტიკულად ამოწურა თავისი შესაძლებლობები, მათ აღარ შეუძლიათ უხვი მოსავლის მოცემა. სიძნელეები შეიქმნა ჩაის კრეფის მექანიზაციის საქმეშიც. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილემ ვ. პ. ცანავამ მოიყვანა ისეთი ფაქტი: 20 ათასი ჰექტარი პლანტაციები მთების ფერდობებზე მდებარეობს. ამ პლანტაციებში სამუშაოდ რესპუბლიკაში შეიქმნა უნივერსალური თვითმავალი შასი სშ-0611. მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე წელია არც ერთი საწარმო არ ჩაედებს ხელს მათს გამოშვებას.

ისევე და ისევე აღიძვროდა საკითხი: როგორ ვქნათ ისე, რომ ჩაის ხარისხი მისი მინიმალური დანაკარგებით გავაუმჯობ ე ს ო? რესპუბლიკაში ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები იდგმება. ამასთან ერთად საჭიროა დაჩქარდეს ერთმანეთის შემსვენი ოლინსიებების ვრცელი კომპლექსის განხორციელება და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, დარგის საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებას. თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვან სელექციონერებმაც და თვით მეჩაიეებმაც, რომლებზეც დამოკიდებულია ჩაის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების უსწრაფესი დანერგვა. უნდა გავაძლიეროთ და სრულყოთ რესპუბლიკაში შექმნილი ჩაის საკრეფი ტექნიკის არსენალი.

ი. კ. ლიგაჩოვი: უნდა შევიმუშაოთ მეჩაიეობის დარგის გარდაქმნის სახელმწიფო პროგრამა, გავესაზღვროთ ხარისხის პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები და მეთოდები, ისე ვქნათ, რომ დარგის გარდაქმნის დროს ნაკლები იყოს დანაკარგები, რომ ქვეყანამ ვერ იგრძნოს ჩაის რაოდენობის მკვეთრი შემცირება. რა არის საამისოდ საჭირო? ჩაის ახალი ჯიშების ათვისება, პლანტაციების რეკონსტრუქცია, ჩაის ნარგავების გაფართოება ახალ სასოფლო-სამეურნეო საკარგულებზე, მწვანე ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესება. ეს ახლავე უნდა დავიწყოთ, თორემ მდგომარეობა წლითიწლით გაუარესდება. თქვენ დაიწყეთ, ჩვენ კი ყველანაირად დაგეხმარებით.

მოგზაურობის დროს ი. კ. ლიგაჩოვთან ერთად იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა.

(საქინფორმი).

სურათზე: საქართველოს სსრ ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებების პროდუქციის გამოფენის დათვალიერების დროს.

ა. რუხაძისა და მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უმაღლესი სკოლის გარდაქმნის გადაუდებელი ამოცანები

სოლიდური ინტელექტუალური პოტენციალი აქვს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემას. ორ უნივერსიტეტში, ჩვიდმეტ სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 90 ათასამდე სტუდენტი. უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოდიან ცოდნის პრაქტიკულად ყველა დარგის დიპლომიანი სპეციალისტები.

ეცნობოდა რა რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების დაყენების საქმეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი 2 ივნისს ეწვია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს. რესპუბლიკის ინჟინერთა კადრების მომზადებისა და აქტუალური მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის ამ დიდ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრში ცოდნას ეუფლება 28 ათასზე მეტი სტუდენტი. აქ ფუნქციონირებს ათობით საპრობლემო, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რესპუბლიკური სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი, სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიურო, სსრ კავშირის დარგობრივი სამინისტროსა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიკროელექტრონიკის და მიკროელექტრონული ტექნოლოგიის ცენტრი.

რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის გარდაქმნ

ი. კ. ლიგაჩოვი საქართველოში

(დასასრული)

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა **დ. ი. ჩხიკვიშვილმა.** მან ილაპარაკა უმაღლესი სკოლის გარდაქმნის პროცესის პირველ შედეგებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ნაკლოვანებებსა და გადასაჭრელ პრობლემებს. აღინიშნა, რომ მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული დამუხრუჭების მექანიზმი ნელა იმსხვრევა, ჯერ კიდევ ძალა არ დაუკარგავს კონსერვატიზმს, ინერციას, მოძველებულ აზროვნებას. კერძოდ, ზოგიერთი მასწავლებელი მზად არ არის ახალ დონეზე წარმართოს სასწავლო პროცესი. ჯერ კიდევ ყველას არ შეუგნია, რომ უმაღლესი სკოლის გარდაქმნა რთული მრავალმხრივი პროცესია, რომელიც მოითხოვს მაქსიმალურ მეცადინეობას. ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში.

აღინიშნა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ნელა ხორციელდება კარდინალური ცვლილებანი სასწავლო პროცესის შინაარსში, ისინი გაუბედავად გადადიან ინფორმაციული სწავლებიდან აქტიურ სწავლებაზე. მხლოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ბამგეთა საკავშირო თათბირის შემდეგ გააქტიურდა მუშაობა ამისათვის, რომ საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლება დაუბლოონ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას. დამტკიცდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემების კვლევის ხუთწლედისათვის გათვალისწინებული საკოორდინაციო გეგმა, რომელშიც მონაწილეობენ უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებათმცოდნეები და დარგობრივი ინსტიტუტების მეცნიერები.

სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფის გადასაჭრელ პრობლემებს მიაპყრო მთელი ყურადღება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა **თ. ნ. ლოლაძემაც.** უპირველესი მნიშვნელობის ამოცანათა შორის მან დაასახელა უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის განმტკიცება, მისი უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვა, საცდელ-საწარმოო ბაზების გაფართოება, კონკრეტული სამეცნიერო და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში სტუდენტთა ჩაბმა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრა საჭიროებს მომიჯნავე მეცნიერებებისა და დარგების წარმომადგენელთა მჭიდრო ერთობლივ მუშაობას. მეტი ოპტიმალური და ეფექტიანი სტრუქტურა აქვს უნივერსიტეტების სისტემას გამოყენებით და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში—ტექნიკური უნივერსიტეტების სისტემას. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადება იმის თაობაზე, რომ ქვეყნის მთელი რიგი დიდი პოლიტექნიკური ინსტიტუტები ტექნიკურ უნივერსიტეტებად გარდაიქმნას.

როგორც თავის გამოსვლაში აღიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმა **თ. ა. ხუროძემ,** უმაღლეს სასწავლებლში აქამდე არ შექმნილა მეცნიერთა და პედაგოგთა კადრების მომზადების ერთიანი სისტემა. ამას მოჰყვა ის, რომ თაობათა ცვლის დროს კადრების საკითხი კვლთრად გამწვავდა. პარტიული კომიტეტის მუშაობის სტრატეგიაში შექმნილ სიტუაციაში საწყის წერტილად აიღეს კადრების პრობლემა მისი ორი ასპექტით: კადრები, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, და კადრები, რომელთა ჩამოყალიბებასაც ემსახურება სწავლა. და თუ ცალკეული დისციპლინების სწავლების მეთოდიკის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტენ დღეს უნივერსიტეტის მეცნიერთა და პედაგოგთა კადრები, პარტიული ორგანიზაციის მიზანია თვისებრივად გაუმჯობესოს თვით მასწავლებელთა საკადრო შემადგენლობა, აქტიურად დაიწინაუროს კათედრების ხელმძღვანელად ნოვატორები, ენთუზიასტები, ახალი ტიპის პედაგოგიური და ორგანიზატორული აზროვნების ადამიანები. პარტკომის მიზანია, რომ საკადრო საკითხების გადაწყვეტაში არ დაუშვან შეცდომები, რადგან მათ გამოსწორებას შემდეგ წლები სჭირდება, აღზრდის პროცესში სტუდენტებისათვის მიყენებული მორალური ზიანი კი საერთოდ აუნაზღაურებელია.

— გარდაქმნა ჩვენთან ყოველთვის თანაბრად როდი მიმდინარეობს, უფრო მეტად იგი ნახტომისებურია, — აღიარა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა **ე. ნ. გუგუშვილმა.** — ჩვენ ვცდილობთ იგი გაციცლებით მეტი, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში.

დადგენილებით სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინადადება მიეცა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გადავიდეს ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებაზე, გაამსვილოს სპეციალობანი მათი რიცხვის არსებითი შემცირების გზით. ამჟამად, სპეციალობათა ნომენკლატურის გადასინჯვა მთავრდება. მაგრამ მისი შემცირება პირდაპირ ბრძოლით ვეიხდება. კათედრების, უწყებების ხელმძღვანელები იყენებენ ყოველგვარ მოსაზრებას, რომელთა მიზანია არსებული დაზღვევა. ეგანსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უაღრესად საჭიროა გაერთიანდეს აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლისა და დარგობრივი მეცნიერების მეცადინეობა, მათი მთელი ძალები მოხმარდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაჭრას.

— უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო პოტენციალის განვითარებასა და წარმოებაში მათი მიღწევების დანერგვას ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ბევრი რამ ამ მიმართულებით უკვე გაკეთდა, — თქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ **ა. ბ. გეორგიოვმა.** — მაგრამ სამწუხაროდ, აქ ჯერ კიდევ იჩენს თავს უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებისადმი უწინდელი დამოკიდებულების ნიშნები. სამინისტროები და მთავარი სამმართველოები მათ მიმართ არ იჩენენ სათანადო ყურადღებას. ეს მთლიანად არასწორი მიდგომაა, წარმოებამ პირი უნდა ქნას უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებისაკენ, დაიხმაროს მას ტექნიკურად, მოსთხოვოს მას ახალი სამეცნიერო-ტექნიკური გადაწყვეტები სახელმწიფო მიღების დონეზე. დანერგვა არ უნდა იყოს მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების ინიციატივა, საჭიროა რომ, ამას სანქციას აძლევდნენ და აკონტროლებდნენ სამინისტროები და შესაბამისი მთავარი სამმართველოები.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიმდინარე ცვლილებებს ამხანაგები **ვ. ი. ალავიძე, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლაკი, ო. ე. ჩერქეზიანი, გ. ბ. გუმბარიძე.**

ი. კ. ლიგაჩოვის გამოსვლა

ამხანაგებო!

საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, დიდ ამოცანებს უსახავს უმაღლესი სკოლის მუშაკებს. როგორც კომკავშირის ყრილობაზე აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, სწორედ განათლების სფეროში წყდება მთავარი ამოცანა, იქმნება ჩვენი დაჩქარებული წინსვლის, თვით გარდაქმნის წარმატების წანამძღვრები. ამიტომ ქვეყნის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის ძირეული განახლება ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით საჭირო და გადაუდებელი საქმეა.

ხელმძღვანელობდა რა ამით, ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი". მიღებულია ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ხუთი დადგენილება, რომლებსაც უმაღლესი სკოლის შესახებ XXVII პარტიული ყრილობის მითითებანი, მისი გარდაქმნის ძირითადი მიმართულებების დებულებანი გადაჰყავთ პრაქტიკული მოქმედების სიბრტყეში.

ამ დადგენილებათა პრინციპული თავისებურებაა მათი კომპლექსური ხასიათი. როცა მათ ამუშავებდა, ცენტრალური კომიტეტი იმით ხელმძღვანელობდა, რომ აქ ვერ შემოვიფარგლებოდით სანახევრო ღონისძიებებით. გადაწყდა უმაღლესი სასწავლებლებისათვის, როგორც ორგანიზაციული, ისე მატერიალური თვალსაზრისით, მიგვეცა იმის მაქსიმუმი, რაც დღეს გვაქვს. სწორედ ასეთი მიდგომაა რეალიზებული კიდეც ამ დოკუმენტებში.

გადაწყვეტილებათა მომზადება წარმოებდა ფართო დიმოკრატიულ საფუძველზე. მათში გათვალისწინებულია ძირითადი მიმართულებების განხილვის დროს გამოთქმული კონსტრუქციული წინადადებანი. განხილვაში მონაწილეობდა 12 მილიონზე მეტი კაცი. ასე რომ, უმაღლესი სკოლის გარდაქმნის პროგრამაში არსებითად განზოგადებულია მრავალი ათასი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაკის, სახალხო მეურნეობის სპეციალისტის აზრი.

დამამთავრებელ ეტაპზე, უმაღლოდ დადგენილებათა გამოსვლის წინ, ცენტრალურ კომიტეტში მოვიწვიეთ ქვეყნის მთელი რიგი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების რექტორები. მათ დავუსვით კითხვა: რა არ არის გათვალისწინებული დოკუმენტების პროექტებში და კიდევ რა უფლებები უნდა მიენიჭოთ უმაღლეს სასწავლებლებს? პასუხი ერთი იყო: დოკუმენტებში გათვალისწინებულია ყოველივე საჭირო და უმაღლეს სასწავლებლებს მიეცათ ყველა უფლება, რომლებსაც ისინი ელოდნენ. ასე რომ, ახლა, ამხანაგებო, საქმე თქვენზეა.

ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების ხარისხისა და სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", შეწყდა სპეციალობათა გაუმართლებელი დაწილადების პრაქტიკა, რომელთა მიხედვით წარმოებს მომზადება ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. დამეთანხმებით, რომ საქმე ჩვენში აქ შორს წავიდა. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე უმაღლეს სასწავლებლებს დაემატათ ასზე მეტი ახალი სპეციალობა და ახლა ისინი თითქმის ხუთასია. ესე იგი მართვის საერთო გარდაქმნასთან.

ეკონომიკურმა ბერკეტებმა უნდა დამკვიდრონ უმაღლესი სკოლისა და სახალხო მეურნეობის დარგების ურთიერთდაინტერესება და ურთიერთპასუხისმგებლობა სპეციალისტთა მომზადების ხარისხისა და გამოყენებისათვის. ცენტრალურმა კომიტეტმა ისეთ ახალ ღონისძიებასაც კი მიმართა, როგორიცაა მატერიალური წარმოების დარგთა მიერ მათთვის სპეციალისტთა მოსამზადებლად გაწეული ხარჯების ნაწილობრივი კომპენსაცია. უკვე მიმდინარე ხუთწლედში სახალხო მეურნეობა ყოველი სპეციალისტისათვის უმაღლეს სკოლას გადაუხდის სამი ათას მანეთს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამეურნეო მუშაკები უფრო მომთხოვნელად მიუდგებიან თავისთვის სპეციალისტთა შერჩევას და, როგორც იტყვიან, ზედმეტს არ აიყვანენ. უმაღლესმა სკოლამ კი უნდა იზრუნოს, რათა მის კურსდამთავრებულს ჰქონდეთ მომზადება ყველაზე თანამედროვე დონეზე, რათა არ წამოიჭრას მათი შრომითი მოწყობის პრობლემა. ასე რომ, სკოლისა და წარმოების ინტერესი აქ ნაცვალგებითია.

პერსპექტიულ მიმართულებად მიგვაჩნია აგრეთვე მოწონიავე საწარმოებში სწავლების დამამთავრებელი საქადიოს გადატანა. ამ მიზნით საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში იქმნება უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების ფილიალები. ახლა ქვეყანაში ასეთი ფილიალი დაახლოებით შეიდასია ბანსილი. ისინი მოიცავენ საინჟინრო სპეციალობების სტუდენტთა ერთ პროცენტზე ნაკლებს. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე ეოტაა. ეს პრაქტიკა უნდა გავფართოოთ. როგორც მითხრეს, თქვენი რესპუბლიკის საწარმოებში აგრეთვე გახსნილია უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების დაახლოებით 60 ფილიალი. მიღებული დადგენილებებით მათ ახლა იურიდიული სტატუსი მიენიჭათ. ამოცანა ისინი არის, რომ მაქსიმალური ეფექტით გამოვიყენოთ სწავლების ეს ფორმა მომავალ სპეციალისტთა პრაქტიკული მომზადების გაძლიერებისათვის.

უმაღლესმა სკოლამ უნდა გაზარდოს თავისი წვლილი სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საქმეში. ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა ვალოდოთ 5-6 წელიწადს, როცა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ახალი თაობა აქტიურ საქმიანობაში ჩაებმება. დროის ასეთი რეზერვი არა გვაქვს, ახლა ცოდნის განახლების პროცესი არაჩვეულებრივად დაჩქარდა. სწავლება, არსებითად, გახდა მთელი ცხოვრების საქმე. ვინც გაჩერდა — იგი ჩამორჩა კიდეც.

ჩვენს პირობებში მხოლოდ სახალხო მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა ცოდნის უწყვეტი განახლების მეშვეობით შეიძლება მთლიანად ამოქმედდეს ადამიანის ფაქტორი. სხვათა შორის, თქვენს რესპუბლიკაში კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა თავისი მატერიალური ბაზით შესაძლებლობას გაძლევთ სპეციალისტთა გადამზადება მოაწყოთ თორმეტ წელიწადში ერთხელ, მთელ რიგ დარგებში კი 20 წელიწადში ერთხელ. ეს არაფრად არ ვარგა, და ვითარება აქ უნდა შეიცვალოს.

ყველას გვესმის, რომ ყველაზე მთავარი და, უნდა ითქვას, ყველაზე რთული საკითხია მასწავლებელთა კორპუსის გარდაქმნა. მის გადაწყვეტას ისახავს მიზნად ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილება სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების შესახებ.

პრინციპული გეზი ის არის, რომ კადრების მომზადებაში ჩავაბათ საზოგადოების საუკეთესო ინტელექტუალური ძალები.

დიდი ხნის მანძილზე მასწავლებელთა კოლექტივები უმთავრესად კომპლექტდებოდა საკუთარი კურსდამთავრებულების ხარჯზე. ამის შედეგად ბევრი უმაღლესი სასწავლებლის მაპროფილებელ კათედრების მასწავლებელთა მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს საწარმოებში მუშაობის გამოცდილება. სპეციალისტთა მომზადებას დიდი ზიანი მიაყენა ჩვენში მოქმედმა შემთავსებლობის პირობებით წოდებები, მეცნიერ ხარმოების მუშაკთა უმაღლეს სასწავლებლებში მიზიდვის ფაქტობრივმა აკრძალვამ. ახლა მოიხსნა შემთავსებლობით მუშაობის ყველა აკრძალვა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხლოდ სარგებლობას მოიტანს.

საერთოდ, ეს ღონისძიება მხურვალედ მოიწონეს უმაღლეს სასწავლებლებში და წარმოებაში. ამას მოითხოვდა ცხოვრება. როგორც მითხრეს, თქვენს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამასწავლებლო მუშაობაში შეთავსებით უკვე ჩაბმულ ყოფილა ინსტიტუტის ერთ-ერთ ინსტიტუტ. ეს, ალბათ, ბევრ მეცნიერებისა და ინჟინერ-ტექნიკოსისთვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ფორმა. ეს ფორმა ეხმარება ადამიანებს, ეფექტიანად ერევიან ინოვაციურ პროცესებში, ეხმარებიან ინჟინერ-ტექნიკოსებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს ეხმარებიან, ეხმარებ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ

ᲛᲔᲡᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲝᲜᲔᲑᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲓ კურელას ფეხი მიწაზე ჯერ კიდევ არ დაედგა. მესტიის აეროპორტში, თვითმფრინავიდანვე შეავლო თვალი **დეკორაციებივით** დაყუდებულ მთებს, თავზე თეთრი, ქათქათა სვანური ქუდები რომ ეხურათ, და მთელი ძალით დაიძახა: ბოლოს და ბოლოს ვიხილე ქვეყანა, სადაც სილამაზეშ ჰკობა თავის თავს...

ბევრი ქვეყანა და კუთხე მოგვევლია, გვინახავს, აგვიწონ-დაგვიწონია, მაგრამ სვანეთი თითქოს განუმეორებელია. მას აქვს საკუთარი ხელწერა, რომელსაც მარტო მშვენიერი, მკაცრი მთები კი არ აგვირისტებს, არამედ ჭკვიანი და გამრჯე ქართველი კაცის მიერ შექმნილი დიდებული კოშკები თავისი მაჩუბებით, პატარა, მაგრამ დიდი გემოვნებით მოხატული ტაძრები... მაგრამ მთავარი მაინც სვანი ვაჟკაცის კეთილი და თბილი გული, გამრჯე მარჯვენა და ნათელი გონება.

ჩვენი ისტორია სავსეა ნაღვლიანი და სევდიანი ფურცლებით. ზოგჯერ ესა თუ ის კუთხე ფუძემამულს გასჯიუტებია და განსდგომია კიდეც. სვანეთი კი ერთგულების ნიშანსვეტად იდგა ყოველთვის, და ამიტომაც საქართველოს ყველაზე ძვირფასი განძი ძნელედობისას სწორედ აქ იყო ხოლმე გადამალული. მარტო ის რად ღირს, რომ დიდებული შალიანის ხატი დღესაც კალს ზემოთ კვირიკეს ეკლესიაში (ლაგურკა) ინახება.

სვანეთს, ამ ჩვენს დიდებულ და უნიკალურ კუთხეს ახლა გაეჭირდა. მტრის ლაშქრავით დაიძრა თეთრი ურდო-ზვავი და სოფლები აღგავა პირისაგან მიწისა. ბუნებამ სასტიკად დასჯა მასზე უზომოდ შეყვარებული სვანი კაცი.

მუსლაფელი ლადო შერვაშიძე იხსენებს: — დილის რვა საათი იქნებოდა, სახლიდან გამოვედი. მინდოდა საქონლისათვის დამეხედა. 6 მეტრი სიმაღლის თოვლში გაჭრილ გვირაბს ზევით ავყევი. ცუბად ცივი ქარის ძლიერი ტალღა მოძხვდა და საშინელი ხმაურიც შემოესმა. იფიქრებდით, ქვეყანა იქცევაო. ეამეშების მხარეს რომ გავიხედე, ბურუსისა და ბუღის მეტი ვერაფერი დავინახე. მერე კიბეღიც გავიგონე და უმალ მივხვდი, რაც მოხდა. შინ შევვარდი, დავიყვირე, ცოლი და ვეფი ფეხზე დავაყენე, ეამეშებსაკენ გავიქეცით.

გაქცევას ვამბობ, თორემ რის გაქცევა, თოვლში გაჭრილ გვირაბში, აბა, როგორ უნდა მერბინა. რაც შემეძლო ჩქარა კი მივდიოდი. უკან ქოშინით ჯალაბი მომდევდა. გზადაგზა მეზობლებიც შემოგვემატნენ.

ნათელზე რომ გამოვედით, ჯამეში აღარ დაგვიხვდა. თითქოს სამართებლით გაეცხიპაო, სახლები ისე აღეგავა ზვავს.

არც დავფიქრებულვართ, თოვლს ვეცით და სულ პირველად უბრალოდ, შიშველი ხელებით შევუდექით გადაყრას, მერე ბარ-ნიჩაბიც გაჩნდა და საქმეც წინ წავიდა. თოვლის საფარიდან აქა-იქ კვნესას რომ გავიგონებდით, იქით გავუტევდით. ბევრი დამტვრეულ-დასახჩრებული კაცი თუ ქალი, ბავშვი ამოვიყვანეთ, ოცდაექვსი უკვე დაღუპულიყო.

ეს ერთი კაცის მონაყოლია ხოლოდ...

მთაში დაწყებულმა ზარმა სულ მალე ბარშიც გადმოინაცვლა. უბედურება დაატყდა თავს სამეგრელოსა და იმერეთის რაიონებს, მერე სტიქიამ აფხაზეთს შეახო თავისი მსახვრალი ხელი, არც კახეთი დაინდო.

იმ შწარე დღეებზე ბევრი დაიწერა და ითქვა. ამ ჭრილობის ხელახლა გახსნა როდი დღეს ჩვენი საუბრის თემა. კაცთა ცხოვრება ყოველთვის სავსეა მწარე ტკივილებითა და თაღლიანი დღეებით. მთავარია ყოველთვის ვაჟკაცურად დავხვდეთ გასაჭირს, არ შევდრკეთ.

ახლა საზრუნავი ერთია — ყველაფერი აღვადგინოთ, გავმართოთ და ცხოვრების ჩარხი კვლავ ეამოქმედოს.

ᲡᲐᲓ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲕᲐᲜᲔᲑᲘ?

ᲐᲠᲐᲕᲘᲜ იფიქროს, თითქოსდა სვანეთი მთლიანად დაიცლება, რომ მესტიელსა და მუსლაფელს, სხვასა და სხვას, ბოლოს და ბოლოს მობეზრდებათ სტიქიასთან საუკუნოვანი ჭიდილი, თავზე ლაზათიანად მოირგებენ სვანურ ქუდს და ბარის გზას დაადგებიან.

ეს არ მოხდება.

მიგრაცია სვანეთიდან ადრეც იყო. დიდი და მცირე მიგრაცია. ამის მიზეზი ის კი არ არის, თითქოსდა სვანები ზვავსა და მეწყერს შეეშინებინოთ. ეს არავინ თქვას.

მიზეზი სულ სხვაა. ქართველებს შორის მხოლოდ სვანებმა და აჭარლებმა შეინარჩუნეს მრავალშვილიანობის ტრადიცია. ხალხი მრავლდება, მთა მეტს ვეღარ იტევს, შთამომავლობას კი დროულად უნდა მივცეთ წონასწორ მოფიქრებული, ჭკვიანური გეზი. ეს ყოველთვის იყო. ახლა კი... ახლა ხალხით სავსე ავტობუსები ბარში წავიდა.

სვანთა ერთი ნაწილი ქვემო ქართლს მიადგა. ბოლო წლებში ამ მხარის ეკონომიკურ განვითარებას სათანადო ყურადღება ექცევა. დალოცვილი მიწა, მადნეულის მდიდარი საბადოები დიდ პერსპექტივას იძლევა.

დიდი მოვლენაა თბილისი-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის შშენებლობა, რომელმაც დედაქალაქს ამ მხარის რაიონული და სამრეწველო ცენტრები დაუკავშირა.

შეიქმნა საქართველოს ფერადი მეტალურგიის დიდი ობიექტი — მადნეული (კაზრეთი). აქ უკვე გამოიკვეთა მომავალი ქალაქის კონტურები. თამარისში აშენდა მეფრინველეობის კომპლექსი. შენებლობები არ წყდება.

სულ სამოიდე წლისაა ქალაქი მარნეული — ყველაზე ახალგაზრდა ქალაქი ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც 2000 წლისათვის 120 ათასი კაცი იცხოვრებს. აქ ახლა ყველგან ხარაჩოებია. შენდება ახალ-ახალი საცხოვრებელი მასივები, ფაბრიკა-ქარხნები, იკვეთება მიკროსამრეწველო ზონების ნათელი კონტურები. მარნეულს აქვს დიდი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რესურსები. დაწყებულია ორი დიდი სამრეწველო ობიექტის შენებლობა, რისთვისაც ახლო მომავალში ათასობით მუშახელი გახდება საჭირო. ერთი სიტყვით, მარნეული შენდება, ლამაზდება, მშვენდება...

ჟ. მარნეულში პირველი ავტობუსები გათენებისას შემოგრიალდა. პატარა ქალაქის მოსახლეობა გულთბილად შეეგება სტიქიასთან ბრძოლაში დაღლილ ადამიანებს. უნდა გენახათ, რამდენი კეთილი და ალერსით სავსე თვალი შეჰყურებდა მათ, როგორ ერთხმად და ულაპარაკოდ დათმეს მათთვის ბინის ორდერები მარნეულელებმა. არავის უთქვამს არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არავის გამოუცხადებია მცირე უკმაყოფილებაც კი.

ასე იყო ყველგან, სადაც კი მესტიელები მიიყვანეს, ამაოდ არ ჩაუვლია წინაპაპთა ბრძნული შეგონებას — უნდა იცოდე ქმობის ყადრიო. თითქოსდა ცხადლივ ჩაგვესმის სიკეთის მარადისობის დიდებული ჰიმნი — „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

მარნეულში ხუთსართულიანი ქათქათა სახლების წინ, სადაც სვანები ცხოვრობენ, დილიდან საღამომდე არ წყდება ფუსფუსი. აქ მოდიან ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, რუსები, მოხუცები, ჭაბუკები, ქალიშვილები. მოდიან დაღლილ-დაქანცულ მესტიელებთან და თავიანთ უანგარო სამსახურს სთავაზობენ. იქნებ ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ წუხილი და სევდა ახალ ძმებსა და დებს. რამდენი სიფაქიზე, რამდენი გულისხმიერება გამოსჭვივის მათს საქციელში.

ხალხის ნება-სურვილი უძლიერესია, მაგრამ ყველა საქმეს სწორი ხელმძღვანელობა სჭირდება. დაზარალებულთა ჩამოსახლების საკითხი თავდანვე გულთან მიიტანეს სამრეწველო ორგანიზაციათა, საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, მათმა ხელმძღვანელებმა. მესტიელებს ყველანაირად გამზადებულ-გამართული საცხოვრებელი დახვდათ, სამზარეულო, ჯამ-ჭურჭელი, საწოლები, ლოგინი, მაცივარი, ტელევიზორი. მოზრდილებისათვის შეიძინეს ტანსაცმელი, ბავშვებისათვის სკოლის ფორმა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც სჭირდება ოჯახს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცეკავშირის სასურსათო კომბინატის გაერთიანება „საქართამადნეულის“ სასოფლო ბინათა მშენებლობის კომბინატის, „მარნეულგაზის“ ტრესტის, საქსოფ-საგალანტერეო ფაბრიკის და სხვა დაწესებულებათა კოლექტივების დიდი ყურადღება დაზარალებულთა მიმართ. არც სოფლის მეურნეობის მშრომელებს შეურჩენიათ თავი. მათ 40 ახალი ბინა კეთილმოაწყვეს. დღე ისე არ გავა, რამდენიმეჯერ არ ინახულონ ახალი მეგობრები. ინტერნაციონალური მეგობრობის მაგალითი გვიჩვენეს სადახლოს, აღმამედლოს, „გამარჯვების“, „მეგობრობის“, თამარისის, ეთერზეთების და სხვათა მეურნეობების მშრომელებმა. მათ ნამდვილი საბჭოური ხასიათი გამოიჩინეს.

ᲬᲔᲠᲐᲥᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲔᲑᲘ

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ წერაქვი ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მაშინ მოექცა, როცა სკოლაში ხუთად ხუთი მოსწავლე დარჩა. მოხდა ისე, რომ სოფელი დაიცალა. რის მიზეზი ისევ ჩვენი დაუდევრობა გახლდათ. მხოლოდ ეს და სხვა არაფერი.

დღევანდელ სოფელს ჩვეულებრივი, ნორმალური გზაც სჭირდება და სხვა სიკეთეც, რაც ჩვენმა საუკუნემ და ცხოვრებამ მოგვიტანა. აქ კი არაფერიც არ იყო.

არადა, რა დიდებული ხეობაა, ზედ შაუმიანთან რომ იწყება და მიუყვება სულ ზევით, ვიდრე წერაქვამდე. მერე წყალს არ იტყვით! დალოცვილი, ცივი, ანკარა, გემრიელი. მიდის და მისდევს ხეობას, მისდევს და აღარ თავდება. შემთხვევითი არ იყო, რომ მწერლების, მხატვრების, მეცნიერების ერთმა ნაწილმა კოლექტიური მებაღეობისათვის სწორედ წერაქვის მიდამოები აირჩია.

რუსთაველმა მეტალურგებმა თავიანთი მეურნეობაც შექმნეს, რომელსაც „ხალიბი“ უწოდეს.

მეურნეობა მრავალდარგოვანია. მისდევენ მეცხოველეობას, მებაღეობა-მებოსტნეობას, მევენახეობას. ამ დალოცვილ მიწაზე ყველაფერი ხარობს, მაგრამ აქაურობას ხალხი, მობინადრე არ ჰყოფნის. მეურნეობას უჭირს, არ ჰყავს საკმარისი მუშახელი. ეს გახლავთ პრობლემა. ამ მომხიბლავ ხეობაში გამჯდარ, მოუღლელი მესტიელების შეყვანა უეჭველად კარგი საქმეა. ფიქრობენ რამდენიმე ოჯახი აქ დაასახლონ. უკვე დაპროექტდა ბინები და მშენებლობაც მალე გაჩაღდება.

კეთილი იყოს თქვენი ფეხი, ძმანო სვანებო, წერაქვის დიდებულ ხეობაში! გამრავლდით და კეთილად გეცხოროთ!

ᲬᲘᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნოდარ კოსახიძე და რაიკომის პირველი მდივანი ქამილ მამედოვი მარნეულის ნათელ მომავალზე, მის პერსპექტივებზე საუბრობენ. ეს გაზეთ „კომუნისტში“ ბევრჯერ დაიწერა, მაგრამ ჩნდება სულ ახალი და ახალი პრობლემები, რომლებიც დროულად უნდა მოგვარდეს.

თუნდაც სკოლა. ქალაქის ქართული სკოლის შენობა დიდი ხნის აშენებულია. დღეისათვის იგი პატარაც არის და მოუხერხებელიც. ახლა კი, როცა აქაურებს მესტიის რაიონიდან ჩამოყვანილი მოსწავლეები შემოემატნენ, საქმე უფრო გართულდა. ალბათ განათლების სამინისტრო გაითვალისწინებს ამ მდგომარეობას და დროულად შეუდგება ახალი სკოლის აშენებას. ძველი შენობა კი შეიძლება სპორტულად გადაკეთდეს, რაც ქალაქს ასე სჭირდება.

ალბათ, საშენ მასალათა სამინისტრომ ბავშვთა საცურაო აუზის შშენებლობა უნდა დაიჩქაროს, რაც ცოტა არ იყოს გაჭიანურდა. ასეთივე მდგომარეობაშია ფიზკულტურულ-სპორტული კომპლექსის შშენებლობაც. მშენებლებმა საქმე კარგად კი დაიწყეს, მაგრამ მერე მიაყურისძირეს.

მარნეულში არ არის პიონერთა სახლი, სხვაც ბევრი რამ აკლიათ, მეტი ყურადღებაა საჭირო საავტომობილო გზების სამინისტროდანაც. დღემდე ვერ მოგვარდა ცენტრალური მაგისტრალების კეთილმოწყობის საკმე. პირველი მოთხოვნილების საგნებით მომარაგებაში ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს ცეკავშირმაც.

ალბათ ჩვენი არქიტექტორებიც მეტ ყურადღებას გამოიჩენენ იმისათვის, რომ მარნეულს ლამაზი და მოხდენილი შენობები ამშვენებდეს. მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც სასმელი წყლის ნაკლებობაა. როგორც ვთქვით, 2000 წლისათვის აქ 120 ათასი კაცი იცხოვრებს, წყლის პრობლემა კი ასე მწვავედ დგას.

მარნეული ყველას საქმეა. არც აკლია ზრუნვა და ყურადღება: სამი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ქალაქ მარნეულის ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“. დადგენილებით გათვალისწინებული გეგმები მასშტაბურია და საუკუნის ბოლომდე უნდა შესრულდეს.

ᲠᲝᲓᲐᲛ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔ.
ᲖᲐᲣᲠ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

„ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ“ № 5

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ჟურნალ „ეკონომისტის“ მორიგი, მეხუთე ნომერი. ჟურნალის მეთაური სტატია ეძღვნება ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და გარდაქმნის ერთერთი მთავარი პირობის — წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის პრობლემებს. რუბრიკით „შეთორმეტე— გარდაქმნისა და დაჩქარების ხუთწლედი“ — დაბეჭდილია რევაზ ბაკულიას სტატია „აგროსამრეწველო კომპლექსის საფინანსო მექანიზმი“. სტატიაში „შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის მართვა“ — ავტორი ვალერი ზადოსკი აყალიბებს შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის მართვისადმი ახლებურად მიდგომის ძირითად პრინციპებს.

ჟურნალში დაბეჭდილია. სტეფანე მოჩერნის თეორიული სტატიაზ „სოციალისტური საკუთრებითი ურთიერთობანი“ და ვლადიმერ ახალაიას სატრობლემო წერილი — „მხატვრული ლიტერატურა პოლიტიკური ეკონომიის სწავლებაში“.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება გედეონ ხელაიას სტატია, აგრეთვე მამია ხელაძისა და ბეგლარ ვართანოვის წერილი. შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებია განხილული გივი თაქთაქიშვილისა და ციალა ორთოიძის, სოლომონ ადეიშვილის წერილებში.

სწავლული ეკონომისტები დიმიტრი ცისკარიშვილი, გურამ ჯაფარიძე, გიორგი ჯულაყიძე, ზურაბ სოსელია თავიანთ წერილებში განიხილავენ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტს.

„ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ № 10

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეათე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია საკავშირო კომკავშირის XX ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის — გარდაქმნის შემომქმედებითი ძალა — ნაწყვეტი.

განყოფილებაში „კარგ გამგონეს კარგი მთქმელი უნდა“ — გამოქვეყნებულია სარედაქციო წერილი — დღეს ეს მთავარია!

ანშლაგით „რაც ყრილობამ დაგვისახა“ დაბეჭდილია ო. ქეშელაშვილის წერილი — დაჩქარების სტრატეგია სოფლად.

„არჩევნების შესახებ რა“ ჟურნალში წარმოდგენილია განყოფილება საერთო ქუდით — „დემოკრატიულობით, საჯაროობით“, სადაც თქვენ გაეცნობით: ც. შავგულიძის — აგიტპუნქტის კარები ყველასათვის ღიაა; ზ. უტიაშვილის — როცა უბანში მივდიეარ.

რუბრიკით — „სწავლა სიბერემდისო“ გამოქვეყნებულია კ. ელიზბარაშვილის წერილი — რწმენის მტკიცე საძირკველი.

ანშლაგით „განვმარტავთ კანონს“ დაბეჭდილია ა. ჩერნიაკის — ყველასათვის სასარგებლო.

განყოფილებაში „ცხოვრების გზაჯვარედინზე“ გამოქვეყნებულია ზ. ლომიძის — ხევსიბერელი რომეო და ჯულიეტა (ნამდვილი ამბავი).

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მარადიული თანამედროვე“; „გვწერენ, შენიშნავენ, ამხილებენ“; „მათ ხსოვნას ქვეყანა სახოლებად აინთებს“ და სხვ.

ᲬᲔᲠᲐᲥᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲔᲑᲘ

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ წერაქვი ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მაშინ მოექცა, როცა სკოლაში ხუთად ხუთი მოსწავლე დარჩა. მოხდა ისე, რომ სოფელი დაიცალა. რის მიზეზი ისევ ჩვენი დაუდევრობა გახლდათ. მხოლოდ ეს და სხვა არაფერი.

დღევანდელ სოფელს ჩვეულებრივი, ნორმალური გზაც სჭირდება და სხვა სიკეთეც, რაც ჩვენმა საუკუნემ და ცხოვრებამ მოგვიტანა. აქ კი არაფერიც არ იყო.

არადა, რა დიდებული ხეობაა, ზედ შაუმიანთან რომ იწყება და მიუყვება სულ ზევით, ვიდრე წერაქვამდე. მერე წყალს არ იტყვით! დალოცვილი, ცივი, ანკარა, გემრიელი. მიდის და მისდევს ხეობას, მისდევს და აღარ თავდება. შემთხვევითი არ იყო, რომ მწერლების, მხატვრების, მეცნიერების ერთმა ნაწილმა კოლექტიური მებაღეობისათვის სწორედ წერაქვის მიდამოები აირჩია.

რუსთაველმა მეტალურგებმა თავიანთი მეურნეობაც შექმნეს, რომელსაც „ხალიბი“ უწოდეს.

მეურნეობა მრავალდარგოვანია. მისდევენ მეცხოველეობას, მებაღეობა-მებოსტნეობას, მევენახეობას. ამ დალოცვილ მიწაზე ყველაფერი ხარობს, მაგრამ აქაურობას ხალხი, მობინადრე არ ჰყოფნის. მეურნეობას უჭირს, არ ჰყავს საკმარისი მუშახელი. ეს გახლავთ პრობლემა. ამ მომხიბლავ ხეობაში გამჯდარ, მოუღლელი მესტიელების შეყვანა უეჭველად კარგი საქმეა. ფიქრობენ რამდენიმე ოჯახი აქ დაასახლონ. უკვე დაპროექტდა ბინები და მშენებლობაც მალე გაჩაღდება.

კეთილი იყოს თქვენი ფეხი, ძმანო სვანებო, წერაქვის დიდებულ ხეობაში! გამრავლდით და კეთილად გეცხოროთ!

ᲬᲘᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნოდარ კოსახიძე და რაიკომის პირველი მდივანი ქამილ მამედოვი მარნეულის ნათელ მომავალზე, მის პერსპექტივებზე საუბრობენ. ეს გაზეთ „კომუნისტში“ ბევრჯერ დაიწერა, მაგრამ ჩნდება სულ ახალი და ახალი პრობლემები, რომლებიც დროულად უნდა მოგვარდეს.

თუნდაც სკოლა. ქალაქის ქართული სკოლის შენობა დიდი ხნის აშენებულია. დღეისათვის იგი პატარაც არის და მოუხერხებელიც. ახლა კი, როცა აქაურებს მესტიის რაიონიდან ჩამოყვანილი მოსწავლეები შემოემატნენ, საქმე უფრო გართულდა. ალბათ განათლების სამინისტრო გაითვალისწინებს ამ მდგომარეობას და დროულად შეუდგება ახალი სკოლის აშენებას. ძველი შენობა კი შეიძლება სპორტულად გადაკეთდეს, რაც ქალაქს ასე სჭირდება.

ალბათ, საშენ მასალათა სამინისტრომ ბავშვთა საცურაო აუზის შშენებლობა უნდა დაიჩქაროს, რაც ცოტა არ იყოს გაჭიანურდა. ასეთივე მდგომარეობაშია ფიზკულტურულ-სპორტული კომპლექსის შშენებლობაც. მშენებლებმა საქმე კარგად კი დაიწყეს, მაგრამ მერე მიაყურისძირეს.

მარნეულში არ არის პიონერთა სახლი, სხვაც ბევრი რამ აკლიათ, მეტი ყურადღებაა საჭირო საავტომობილო გზების სამინისტროდანაც. დღემდე ვერ მოგვარდა ცენტრალური მაგისტრალების კეთილმოწყობის საკმე. პირველი მოთხოვნილების საგნებით მომარაგებაში ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს ცეკავშირმაც.

ალბათ ჩვენი არქიტექტორებიც მეტ ყურადღებას გამოიჩენენ იმისათვის, რომ მარნეულს ლამაზი და მოხდენილი შენობები ამშვენებდეს. მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც სასმელი წყლის ნაკლებობაა. როგორც ვთქვით, 2000 წლისათვის აქ 120 ათასი კაცი იცხოვრებს, წყლის პრობლემა კი ასე მწვავედ დგას.

მარნეული ყველას საქმეა. არც აკლია ზრუნვა და ყურადღება: სამი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ქალაქ მარნეულის ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“. დადგენილებით გათვალისწინებული გეგმები მასშტაბურია და საუკუნის ბოლომდე უნდა შესრულდეს.

ᲠᲝᲓᲐᲛ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔ.
ᲖᲐᲣᲠ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

„ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ“ № 5

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ჟურნალ „ეკონომისტის“ მორიგი, მეხუთე ნომერი. ჟურნალის მეთაური სტატია ეძღვნება ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და გარდაქმნის ერთერთი მთავარი პირობის — წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის პრობლემებს. რუბრიკით „შეთორმეტე— გარდაქმნისა და დაჩქარების ხუთწლედი“ — დაბეჭდილია რევაზ ბაკულიას სტატია „აგროსამრეწველო კომპლექსის საფინანსო მექანიზმი“. სტატიაში „შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის მართვა“ — ავტორი ვალერი ზადოსკი აყალიბებს შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის მართვისადმი ახლებურად მიდგომის ძირითად პრინციპებს.

ჟურნალში დაბეჭდილია. სტეფანე მოჩერნის თეორიული სტატიაზ „სოციალისტური საკუთრებითი ურთიერთობანი“ და ვლადიმერ ახალაიას სატრობლემო წერილი — „მხატვრული ლიტერატურა პოლიტიკური ეკონომიის სწავლებაში“.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება გედეონ ხელაიას სტატია, აგრეთვე მამია ხელაძისა და ბეგლარ ვართანოვის წერილი. შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებია განხილული გივი თაქთაქიშვილისა და ციალა ორთოიძის, სოლომონ ადეიშვილის წერილებში.

სწავლული ეკონომისტები დიმიტრი ცისკარიშვილი, გურამ ჯაფარიძე, გიორგი ჯულაყიძე, ზურაბ სოსელია თავიანთ წერილებში განიხილავენ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტს.

„ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ № 10

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეათე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია საკავშირო კომკავშირის XX ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის — გარდაქმნის შემომქმედებითი ძალა — ნაწყვეტი.

განყოფილებაში „კარგ გამგონეს კარგი მთქმელი უნდა“ — გამოქვეყნებულია სარედაქციო წერილი — დღეს ეს მთავარია!

ანშლაგით „რაც ყრილობამ დაგვისახა“ დაბეჭდილია ო. ქეშელაშვილის წერილი — დაჩქარების სტრატეგია სოფლად.

„არჩევნების შესახებ რა“ ჟურნალში წარმოდგენილია განყოფილება საერთო ქუდით — „დემოკრატიულობით, საჯაროობით“, სადაც თქვენ გაეცნობით: ც. შავგულიძის — აგიტპუნქტის კარები ყველასათვის ღიაა; ზ. უტიაშვილის — როცა უბანში მივდიეარ.

რუბრიკით — „სწავლა სიბერემდისო“ გამოქვეყნებულია კ. ელიზბარაშვილის წერილი — რწმენის მტკიცე საძირკველი.

ანშლაგით „განვმარტავთ კანონს“ დაბეჭდილია ა. ჩერნიაკის — ყველასათვის სასარგებლო.

განყოფილებაში „ცხოვრების გზაჯვარედინზე“ გამოქვეყნებულია ზ. ლომიძის — ხევსიბერელი რომეო და ჯულიეტა (ნამდვილი ამბავი).

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მარადიული თანამედროვე“; „გვწერენ, შენიშნავენ, ამხილებენ“; „მათ ხსოვნას ქვეყანა სახოლებად აინთებს“ და სხვ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡᲐᲜ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ

**ᲡᲐᲯᲚᲘᲡᲐᲠᲑᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲪᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲬᲠᲔᲑᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ „ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ“ — ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲧᲝᲤᲔᲜ ᲙᲝᲜᲙᲠᲘᲢᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲔᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲝᲤᲔᲜ ᲙᲝᲜᲙᲠᲘᲢᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ „ᲑᲣᲠᲗᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ“ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ „ᲑᲣᲠᲗᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ“ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲠᲘᲕ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ. ბერლინის თათბირის მონაწილეებმა დაწვრილებით განიხილეს საკითხები, რომლებიც მთელ კაცობრიობას აღელვებს, წერს „ნეპალბადშაგი“. თათბირის შედეგები მოწმობს, რომ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოები ახლებურად უდგებიან ომისა და მშვიდობის აქტუალური პრობლემების გადაჭრას, წერს შემდეგ გაზეთი. თვით სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ბუნების გამო ისინი ხომ არ უკავშირებენ თავიანთ მომავალს საერთაშორისო პრობლემების სამხედრო გადაჭრას, თანამიმდევრულად იღვწიან ყველა სადავო საკითხის მხოლოდ მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური საშუალებებით გადაწყვეტისათვის.

ᲒᲔᲓᲠ. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთი უმაღლესი ორგანოს ბერლინის თათბირზე მნიშვნელოვანი წვლილი შემატეს თანამედროვეობის უმ

მწერალი — მამულიშვილი

დავით კასრაძის დაბადების 100 წლისთავის გამო

დიდი ილია სამართლიანად შენიშნავდა, რომ ყოველი მწერალი ბუნებრივი ნიჭით არის დაჯილდოებული და ამდენად რჩეულია მრავალთა შორის. აი სწორედ ამ რჩეულთა შორის დგას დავით კასრაძე, რომელიც ახასტასია ერისთავ-ხოშტარიასთან საუბრის დროს კანონიერი სიამაყით აცხადებდა: „...რაც კი დამიწერია და შემიქმნია მიეუძღვენი ქართველი ერის მომავალ თაობებს, იმ შორეულ ყმაწვილებს, რომლებიც იცხოვრებენ გაცილებით უკეთესად, ვიდრე მათ წინაპართა უცხოვრიათ".

დავით კასრაძე ჩვენი საუკუნის დამდეგს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მისმა სტატიებმა „პასუხი პროფესორ გროდესკულს", „ჩვენ და ცხოვრება", „გერმანია და გერმანელები", „ომი და ხალხთა უფლება", „ნიცშეანიზმის შესახებ", „ოქტავ მირაბო", „ცოცხალი ლეშები", „აპარლებს ასამართლებენ" დიდი როლი შეასრულა თავის დროზე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მკითხველთა წინაშე წამოჭრილი აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში.

მწერლის შემოქმედების პირველ პერიოდში ყურადღებას იპყრობს მისი მცირე ფორმის მოთხრობები: „ამონ და ასსა", „ღვარღვა", „დაბდურა", „ვარდი და ეკალი", „ხოლო ლექსები „რაინდის ცხოვრება" 1907 წელს თავის კრებულში მოათავსა გამომცემლობა „კულტურამ" სათაურით „საჩუქარი". მეოცე რუსეთის ქანდარშორია დევნიდა დ. კასრაძეს პროგრესული იდეების გამო, მაგრამ მან თავი შეაფარა პარიზს, სადაც 1919 წელს რუსულ ენაზე გამოსცა „საქართველოს ისტორია".

დავით კასრაძის ფილოსოფიური წერილები და კრიტიკული სტატიები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში ფსევდონიმებით „დ. კ.", „დ. კ-ძე", „დეკა", „იქს", „ქართველი", „დიოგენი", „კანდიდი", „ალი-აზიმი", „კენტი", „ბარონი და კანი". დ. კასრაძე უარტენზიონ, უხმაურო კაცი იყო, მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უაღრესად პრინციპულ პოზიციაზე იდგა; ხმალამოწვდილი ებრძოდა ყველას, ვინც ილიასა და აკაკის გზას გადაუხვევდა. სწორედ ამის გამო შეუტია მან ჯერ „ცისფერყანწელებს", შემდეგ კი ფუტურისტებს სტატიებით: „რა არის ფუტურიზმი?" და „პანტაგონიის ველურები", სადაც მშობლიური ლიტერატურის ტრადიციების უგულებელმყოფ, უმწიფარ მწერლებს ადარებს ველურებს, რომლებიც „ბადრ მთვარეს ტალახს ესვრიან, მაგრამ საკუთარ სახეზე ეურნებათ"...

მწერალი ეთაყვანებოდა უფროს თანამედროვეებს — XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კორიფეებს. მის კალამს ეკუთვნის პირველი მონოგრაფიები ჩვენს დიდ კლასიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებზე. ეს ნაშრომები საფუძვლად დაედო დავით კასრაძის „ლიტერატურული პორტრეტების" მოზრდილ ტომს, რომელიც თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში. მათგან საყურადღებოა „ბრძენი ილია", „აკაკის ჩირაღდნები", „გოლაითი ვაჟა", „დედაენის ბურჯი იაკობი", „ბედნიერი მანდილოსანი ეკატერინე გაბაშვილი", „არმაზის ქურუმი ვასილ ბარნოვი", „ლაპარაკობს მიხეილ ჯავახიშვილი", „გალაკტიონი", „ირაკლი გამრეკელი", „სანდრო შანშიაშვილი"...

დავით კასრაძემ გამოაქვეყნა თარგმანები: ფრანსის „თაისი", კაუკკის „ანტიური ქვეყანა", გოგოლის „მკვდარი სულები", ლ. ტოლსტოის „ალეკო", ო. გონჩარის „მედროშენი", სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი", ს. სტავსკის „გაქანება", ალაკერონტის „ოდები", ტურგენევის „მონადირის დღიურები", ემილ ზოლას „ბატონ შაბრის ლოკოკინები", ოსკარ უაილდის „პადუის დედოფალი", მოლიერის „მიზანთროპი", „ტარტიუფი", მეტერლინკის პიესები სამ ტომად, ემილ ვერჰარნის „რეკიერიები", გოლდონის „საპატარძლო აფიშით", როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი". ეს თარგმანები გამოირჩევა მაღლიანი, დახვეწილი ენით, მდიდარი ქართულით.

თავდადვე ორი კერპის — მწერლობისა და თეატრის — მსახური იყო დავით კასრაძე: ამ ფაქტშიც გამოჩნდა მისი, როგორც მოაზროვნის გენიტიკური კავშირი „თერგდალეულებთან".

დ. კასრაძე აქტიურად მონაწილეობდა განახლებული საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც მწერალთა კავშირის ბათუმის განყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პუბლიცისტი. დ. კლდიაშვილთან, გ. ტაბიძესთან, მ. ჯავახიშვილთან, ვ. ბარნოვთან, ვ. კოტეტიშვილთან, კ. გამსახურდიასთან, პ. ინგოროყვასთან, მ. აბაშიძესთან, ლ. ქიაჩელთან ერთად იგი იყო საქართველოს მწერალთა I ყრილობის (1926 წელი) დელეგატი და მესვეურთაგანი. დიდი სამამულო ომის დაწყებამდე დ. კასრაძე მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრში ლიტერატურულ ნაწილის გამგედ, კიბოსულობდა თეატრალურ ინსტიტუტში ლექციების კურსს თეატრის ისტორიიდან.

დავით კასრაძის მხატვრულმა ნაწარმოებებმა თავიდანვე მიიქცია მკითხველთა ყურადღება. მისი პირველი რომანი „როსკიპი", ასახავდა იმ არაადამიანურ გარემოს, რომელსაც მთავარი მოქმედი გმირი სოროსკოპამდე მიჰყავს. „ცოცხლებს მიხედეთ, ცოცხლებს ნუ მარხავთ!" — ამ სიტყვებით მთავრდება ეს შესანიშნავი ნაწარმოები, რომელსაც ცენზურის არქივიდან გატაცების შემდეგ მეტეხის ციხეში მყოფი პოლიტიკური პატიმრები ხარბად კითხულობდნენ, რადგან თავიანთი შეხედულებების გამომხატველად მიაჩნდათ. ამას მოჰყვა რომანები „იმ გაზაფხულის შიკრიკები", „ცხოვრება", „სპარტაკი", „იბერიის დედოფალი", „აღა-მაჰმად-ხანი", „გიშრის კიბე", „უიალქნონი", „შურისცეხელი", „ერეკლეს ხმალი", „ჯვარი და სიყვარული", „განთიადამდე", „გორის ციხე"; პიესები: „რიი", „იუდა", „ციხის ცრემლები", „ეფეფე არლეკინი", „ელქანან", „ზეთისხილის ბაღები", „თეთრი ორბი" და მრავალი სხვა, რომელთა თემატური მრავალფეროვნება, მხატვრული დონე, პერსონაჟების სიცოცხლისუნარიანობა და ფართო ჰორიზონტი ავტორს აყენებს ქართული პროზის ცნობილ ოსტატთა ფეხზე.

მწერლის შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დრამატული პოემა „რუსთაველი". მისი ცალკე გამოცემის შესავალში ავტორი წერდა, რომ ამ მხატვრულ ნაწარმოებზე 1906 წლიდან მუშაობდა მოსე ჯანავშვილის რჩევით და პოემის ოცდაათზე მეტი ვარიანტი ჰქონდა დამუშავებული. წიგნის რედაქტორი შალვა ნუციუბიძე აღნიშნავდა: „ამ პეროიკული პოემის ტექსტი არსად არ განიცდის იდეალიზაციის დაწოლას, აქ მოქმედი პირები კი არ არიან აყვანილი ცამდე, არამედ ზეცაა ჩამოტანილი ადამიანებამდე!.. „ლეგენდა რუსთაველზე" არსად ღალატობს აუცილებელ მხატვრულ მოთხოვნებს. იგი სინამდვილის ჩარჩოებში ჩასმული ლეგენდაა, ხოლო ლეგენდა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ფართოა ეს ჩარჩოები".

თანამედროვეთა ხსოვნაში დავით კასრაძე დარჩა როგორც უაღრესად თავმდაბალი, ელეგანტური, გასაოცარი ნებისყოფის ქართველი კაცი, სამაგალითო, გულისხმიერი ადამიანი და მოქალაქე; სისხლხორცეული მწერალი, ენციკლოპედიური, კლასიკური ბასალეგის მქონე პიროვნება, ტკბილმოუბარი, წყნარი და ტიტანურად შრომისმოყვარე.

100 წელი შესრულდა ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის დაბადებიდან. შთამომავლობა ვალშია მის წინაშე. დღეისათვის ჩვენ არ მაგვიპოვებდა დ. კასრაძის მხატვრული თხზულებების რჩეულიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ადრინდელ ფილოსოფიურ და ლიტერატურთმცოდნეობითი ხასიათის შრომებზე, მგზნებარე პუბლიცისტიკაზე, დადგა ამ ხარვეზების ამოვსების დროც. უნდა გამოიცეს დ. კასრაძის თხზულებათა მეტ-ნაკლებად სრული კრებული, — ამის საფუძველს იძლევა მთელი მისი შემოქმედება.

ა. კოხრეიძე.

ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულნი

...ავდანეთის ქალაქ კანდაგარის მიდამოებში, რომელიც პაკისტანის საზღვრიდან სამოცდაათიოდე კილომეტრით არის დაშორებული, შეიარაღებული დუშმანების ბანდა გამოჩნდა. ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებისაგან გადარჩენის მიზნით ქალაქისაკენ დაუყოვნებლივ გაეშურნენ ავღანელი მებრძოლები. მათთან ერთად გზას გაუდგა საბჭოთა ავტომანქანების კოლონაც, რომელსაც მეომრები გადაჰყავდა.

უეცრად ერთ-ერთ მთაგორიან ყიშლაღში ჩასაფრებულმა დუშმანებმა კოლონას სროლა აუტეხეს. შუაში მომავალ მანქანას ეცალი მოედო, დაიკრნენ მძღოლი და კაბინაში მის გვერდით მჯდომი მეთაური. დაყოვნება არ შეიძლებოდა — გაჩერებული კოლონა კარგი სამიზნე იყო მოწინააღმდეგისათვის, თანაც დაჭრილებს შველა სჭირდებოდა.

ტყვიის წვიმაში, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, ალმოდებული მანქანისაკენ ზიგზაგებით გაიქცა სერჟანტი, მის აფეთქებამდე მოასწრო კაბინიდან დაჭრილების გადმოყვანა და სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად სხვა მანქანაში მათი გადაყვანა. ადამიანებიც გადარჩნენ და გზაც განთავისუფლდა...

ის სერჟანტი სოხუმელი რამინ ქარდავა იყო. ეს ამბავიც სწორედ მან მოგვითხრო. მისი კანდიდატურა კი სოხუმის საქალაქო გაერთიანებული სამხედრო კომისარიატის კომისარმა, პოლკოვნიკმა რაულ ფანცულაიამ დაგვისახელა და ძალიანაც შეაქო ინტერნაციონალური მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი ეს კომკავშირელი ახალგაზრდა...

სამხედრო სამსახურის დღეები გადიოდა, ასეთი ეპიზოდები კი ხშირად მეორდებოდა. რ. ქარდავა და მისი ქვეგანაყოფის მეომრები სხვებთან ერთად ფხიზლად განაგრძობდნენ სამხედრო სამსახურს...

ერთხელ ყიშლაღის განაპირას დუშმანების ბანდის განადგურების შემდეგ ავღანელი და საბჭოთა მებრძოლები თავიანთ ნაწილებში ბრუნდებოდნენ. გზის მოსახვევში ერთ-ერთი ავტომანქანის წინ უეცრად ნაღმი აფეთქდა. მძიმედ დაჭრილი მძღოლი ჰაერის ტალღამ კაბინიდან გადმოაგდო. დუშმანებს რომ გაჩერებული მანქანისათვის სროლა არ აეტეხათ, რამინი თავის მანქანიდან უცაბედ გადმოხტა, იმ დაზიანებული მანქანის საკენ მიუჯდა და სამშვიდობოს გაიყვანა, მერე დაჭრილ მძღოლს მიეშველა, ისიც მოხერხებული გზით სხვა მანქანაზე მოათავსა...

ასე გაუჩნდა რამინს ძმადნაფიცი, მანამდე უცნობი თანამემამულე: ოჩამჩირელი რუბიკ ხაჯიმბა. იმ დღეს ავტოკოლონაში რამინმა სხვა თანამემამულეებიც გაიცნო: გუგუთელი სოსო თევდორაძე, ქუთაისელები ოთარ სირაძე, ალიოშა წიკორიძე, ჩხოროწყუელი დავით ბერულავა და სხვები...

ამ და სხვა ვაჟკაცური, თავდადებული მოქმედების, საზრიანობისათვის დაჯილდოვეს იგი მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის", აგრეთვე საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის სამადლობო სიგელით.

რამინ ქარდავა სოხუმის რაიონის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში შრომაში დაიბადა და გაიზარდა. აქ დაამთავრა საშუალო სკოლა, აქედან გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში.

დემობილიზაციის შემდეგ სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში მუშაობდა. მერე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე განაგრძო სწავლა, რომელიც წარმატებით დამთავრა და ისტორიულ-იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ამჟამად კომკავშირელი რამინ ქარდავა მეორე კურსის სტუდენტია.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ფურიზმი-87

ოთხ მილიონამდე ტურისტს მოიმსახურა ხუთწლედის სახტარტო წელს სოხუმის მოგზაურობათა და ექსკურსიათა ბიურო. ტურისტულ რუკებზე აღნიშნულია ოცდათექვსმეტი პუნქტი. ეს არის სოხუმი და გაგრა, ბიჟვნითა და რიწა, ახალი ათონი და სოჩი, ენგურჰესი და განთიადი, რესპუბლიკის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

სურათზე: ექსკურსანტები აფხაზეთის დედაქალაქის ბოტანიკურ ბაღში.

გ. სოკოლოვის ფოტო.

ნანატრი ხიდი

ბევრი ხიდი გადებულა მდინარეებზე, სოფელი სოფელს დაჰკავშირებია, რაიონი — რაიონს. ამით განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ სულ სხვაა ეს ხიდი ხობისწყალზე, 120 მეტრ სიგრძეზე რომ გატყორცნილა ისარივით.

ნანატრი ხიდი — კაპიტალური, მკვიდრად ნაგები, ნანატრი-თქო, იმიტომ ვამბობთ, რომ ხობის რაიონის მაღალი ზონის მთისწინა სოფლები ერომანეთს მოწყვეტილი იყვნენ. მათი კავშირი რაიონულ ცენტრთან ომასთან იყო დაკავშირებული, თუ რა „გუნებაზე" იქნებოდა მდინარე. ხობისწყალმა კი საკეთესოთან ერთად ხშირად „გადარეკა" ი	ის. მაშინ უნდა გენახათ მისი აბობოქრებული ტალღების უმოწყალო თარეში, ძალუმად რომ ეძგერებოდა ადრე გადებულ პატარა, ფიცრებით ნაგებ ხიდს, ზედ გადაუვლიდა და პირწმინდად მოშლიდა ხოლმე. მის რემონტზე გაწეული ხარჯები ორ-სამ კაპიტალურ ხიდს აგებინებდაო, იტყოდნენ საჯიჯოელი და ხიბულელი მშრომელები.

ათ წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა ხიდის მშენებლობა. იგი ხან ერთ ორგანიზაციას გადაეცემოდა, ხან მეორეს. ბოლოს მის დამთავრებას ხელი მოკიდა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მცხეთის გვირაბმშენის სამმართველოს (უფროსი — გ. გუბელაძე, საბუშოთა მწარმოებელი — რ. კუნსუნია) კოლეტივმა, რომელმაც მოკლე დროში ააგო კაპიტალური ხიდი და სინამდვილედ აქცია რეგიონის სოფლების მშრომელთა დიდიხნის ნატვრა.

ამას წინათ საზეიმოდ გაიხსნა ახალი ხიდი მდინარე ხობისწყალზე. გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ მშენებლები, გაღმა-გამოღმა სოფლების მადლიერი მშრომელები, მეზობელი სოფლებიდან და რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები.

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სახალხო კინოსტუდია 20 წლისაა

ზესტაფონი. (საკ. კორ. ბ. ზარიჭაძე). ამ ოცი წლის წინათ ფეროშენადნობთა ქარხანაში ცენტრალური ქიმიური ლაბორატორიის ელექტროზეინკლის, საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის რუბენ ღავთაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა კინომოყვარულთა წრე. ქარხნის დირექციამ ამ საქმისათვის გამოყო ორი ოთახი. შეიძინეს სამოყვარულო ფილმების გადასაღებად საჭირო აპარატურა.

პირველ ხანებში წრის წევრები იღებდნენ ქარხნის ცხოვრების ამსახველ მნიშვნელოვან მოვლენებს, შეხვედრებს, მოწინავე ადამიანებს და სხვა. შემდეგ ნელ-ნელა გაფართოვდა წრის შემოქმედების მასშტაბები. წრის წევრთა ნამუშევრები მონაწილეობას იღებს ოროგრაკრესპუბლიკურ, ისე საკავშირო კინომოყვარულთა დათვალიერებასა და ფესტივალებში. ბევრ ფილმს მიღებული აქვს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

კინომოყვარულები ახლა უკვე რაიონის მასშტაბით და მეზობელ რაიონებშიც იღებენ დოკუმენტურ ფილმებს მოწონავე ადამიანებზე, ახალშენებლობებზე, ასახავენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მნიშვნელოვან მოვლენებს.

გემოვნებით არის შექმნილი ფილმები: „მდინარელთა სამი თაობა", „ქართული შენადნობი — სამშობლოს", „ფეროშენადნობთა ქარხანა 50 წლისაა", „მომავალი მეტალურგები", „ჩვენი თანამედროვე", „სიმღერა", „ჩვენი სოფელი", „შურა ბუხრაშვილი", „წისქვილში", „ქართული კაბელი", „როგორ ვიზარდე", „საქმის სიყვარულით", „ყრილობის დელეგატი", „ბრიგადირი", „წყალდიდობა", „პური", „გაფანტული მარგალიტები"...

სტუდიაში ძირითადად მოსწავლე ახალგაზრდობაა გაერთიანებული. კინომოყვარულთა წრეს მინიჭებული აქვს თვითშემოქმედებითი სახალხო კინოსტუდიის წოდება. ახლა მათს განკარგულებაშია საპროექციო დარბაზი, გადასაღები პავილიონი, ხმის ჩამწერი ლაბორატორია, სამონტაჟო და საპატარატო ოთახი, მისაღები და სხვა კაბინეტები.

„ქარხნის" დირექციასთან, პარტიულ კომიტეტთან და რაიონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობასთან ერთად სახალხო კინოსტუდიის განვითარებას დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და კლუბ-ლაბორატორიის ხელმძღვანელობა.

უკვდავებასთან წილნაყარნი

კორნელი კეკელიძე... იგი ნამდვილი მშვენება იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რომლის დაარსების ერთ-ერთი მონაწილეც თავად გახლდათ.

მეცნიერის სახელთან დაკავშირებულია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, პოეტიკის, ესთეტიკის, ლინგვისტიკისა და ორიენტალისტიკის არაერთი ბრწყინვალე ფურცელი. მან აღზარდა ფილოლოგ მეცნიერთა თაობები, რომლებიც დღეს მადლიერებით იხსენებენ ღირსეულ მასწავლებელს, მოღვაწესა და მკვლევარს.

სწორედ მისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებაა კორნელი კეკელიძის დღის დაწესება, რომლის ინიციატორები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ყოველწლიურად ამ სამეცნიერო ცენტრებში რიგრიგობით აღინიშნება მეცნიერის ხსოვნის დღე. სწორედ კორნელი კეკელიძის დაბადების დღეს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში საგანგებო სხდომა.

სხდომაზე წაიკითხეს მოხსენებები, სიტყვითა და მოგონებებით გამოვიდნენ ცნობილი მეცნიერები.

ხსოვნის ამ დღემ ერთხელ კიდევ გააცოცხლა შეკრებილთა წინაშე სასიკეთოლო მეცნიერისა და მამულიშვილის სახე, რომლის მეცნიერული მემკვიდრეობა და ღვაწლი ფასდაუდებელია, ხოლო მისი ცხოვრება და მოღვაწეობა — მისაბაძი მაგალითი თანამედროვეთათვის.

არნოლდ ჩიქობავა... მისი დაბადების დღე ფრიად ღირსსახსოვარი თარიღია ამ სახელოვანი მეცნიერის მოწაფეებისათვის. მაგრამ... წლეულს პირველად შეიკრიბნენ უიმისოდ — არ სმენიათ მასპინძლის სეფე სიტყვა, და აღარც მისი სათნო ღიმილი რგებიათ...

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტმა წლეულს პირველად გამართეს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი „საკითხავები", რომელიც ამიერიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მოეწყობა.

— არნოლდ ჩიქობავა საქვეყნოდ ცნობილი ენათმეცნიერი გახლდათ. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ჩვენთვის, რადგან, მიუხედავად ხანგრძლივი ცხოვრებისა, ეს სასიქადულო მეცნიერი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აქტიურად მოღვაწეობდა და თან წაიღო არაერთი გამოუთქმელი იდეა თუ აზრი. ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა კვლევის საგნად გაიხადა ყველა საკვანძო საკითხი და ყველგან თავისი სიტყვა თქვა. ჩვენ არა გვაქვს უფლება არ განვავითაროთ მისი მრავალმხრივი მემკვიდრეობა. ეს ყველა მისი მოწაფის, იმ სკოლის ვალია, რომელიც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა საოცარი რუდუნებით შექმნა, — აღნიშნა თავის სიტყვაში ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ.

სხდომებზე წაიკითხეს მოხსენებები ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველური და კავკასიური ენების სტრუქტურის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკისა თუ ეტიმოლოგიის, ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის, დიალექტოლოგიის საკითხებზე, თარგმნის თეორიისა თუ ბასკოლოგიის პრობლემებზე. ყოველი მათგანი აგებული იყო არნოლდ ჩიქობავას ნააზრევზე და აურადსაღები სიახლითაც გამოირჩეოდა.

მ. მანჯავიძე.

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილი სოციალურ და კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ინიციატივით დაარსებული გამოცემათა სერია „ტრადიცია და თანამედროვეობა" ემსახურება იმ დიდი მნიშვნელობის პრობლემათა გადაჭრას, რომლებიც დღის წესრიგში დაადგა მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ.

ტრადიციების მრავალპროფილიანი ფუნქცია განაპირობებს მათს განხილვას სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის პოზიციებიდან, მაგრამ, როცა საქმე ეხება ტრადიციის გენეზისს, მის ადგილს თანამედროვე ყოფაში და ეროვნული ტრადიციების რეტროსპექციას, მაშინ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ეთნოგრაფიული მეთოდით თანამედროვე ყოფაში არსებულ წეს-ჩვეულებათა მეცნიერულ შესწავლას და სადღეისო მოთხოვნილებათა შესაბამისად არა მარტო საზოგადოებისათვის მავნე წეს-ჩვეულებების გამოვლენას, არამედ ტრადიციების პროგრესული მხარეებისა და ელემენტების შესწავლასაც, მათთვის თანამედროვე სახის მინიჭებას და კვლავ ხალხის სამსახურში ჩაყენებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოებისათვის ის ყველაზე უფრო აუცილებელი და აქტუალური საკითხები, რომლებიც მოშავალი თაობის ყოველმხრივი აღზრდის ინტერესებს უკავშირდება.

საქართველოში მოზარდის აღზრდის ხალხურმა წეს-ჩვეულებებმა, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა და დაიხვეწა, ფართოდ გამოავლინა ქართველი კაცის საუკეთესო თვისებები: რაინდული ბუნება, სულიერი სიწმინდე და მოყვასის პატივისცემა-სიყვარული.

ცნობილია, რომ ჩვენმა ხალხმა მომავალი თაობის აღზრდის ორიგინალური სისტემა შექმნა, მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ყოველ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეს გარკვეული წვლილი შეჰქონდა საერთო ქართული სისტემის ჩამოყალიბებაში და ამავე დროს თითოეული მათგანი ლოკალურ თავისებურებებს წარმოაჩენდა.

ხალხური პედაგოგიკის ზოგადი და ლოკალური ნიშან-თვისებების შესწავლას ეძღვნება ახლახან „ტრადიცია და თანამედროვეობის" სერიით გამოცემული ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის ნ. კაპანაძის ბრავალწლიანი სამეცნიერო სამუშაოს ერთი ნაწილი **„ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებები".**

მოზარდის აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებების შესწავლა ავლენს როგორც ამ სოციალური მოვლენის ღრმა ტრადიციულობას, ისე მის დიდ მნიშვნელობას ცხოვრების საბჭოური წესის განვითარებაში. ხალხური პედაგოგიკის ისტორიულობა და თანამედროვეობა, მასში ახალი ფორმების დანერგვა თავისთავად მოითხოვს არა მარტო მოვლენათა შესწავლას, არამედ ტრადიციების კლასიფიკაციასაც. აქტუალურობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხის მეორე მხარე, ესე იგი, დადებითი და უარყოფითი მოვლენების გამიჯვნა და მის საფუძველზე სარეკომენდაციო დებულებების შემუშავება.

სწორედ ამ მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება ნ. კაპანაძის ნაშრომი.

ბუნებრივია, ბავშვის აღზრდის წეს-ჩვეულებებზე მსჯელობა მოითხოვდა ცოცხალ ყოფაში არსებული ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას სწორ, მეთოდიკურ ჩვევებს და შესაბამისი სპეციალური თუ მომიჯნავე მეცნიერული დარგების მონაცემების მოხმობას. საკითხისადმი ამ ასპექტით მიდგომამ განაპირობა ის, რომ დღეს ჩვენს ხელთ არის ეთნოპედაგოგიური ნაშრომი, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს ხალხური პედაგოგიკის ის რაციონალური ელემენტები, რომლებიც შესაბამისად შეიძლება გამოვიყენოთ თანამედროვე მეცნიერულ-პედაგოგიური თეორიის განვითარებაში.

ნაშრომში ავტორი იკვლევს ბავშვის აღზრდის ქართულ ხალხურ სისტემას დაბადებიდან, გაზრდისა და აღზრდის ყველა ძირითადი ეტაპის გათვალისწინებით. ხალხური პედაგოგიკა მნიშვნელოვანია იმდენად, რომ იგი პატარა ასაკიდან ვარაუდობდა მოზარდისათვის ერთდროულად შრომითი, ფიზიკური და გონებრივი აღზრდის ფაქტორების გამომუშავებას, რომელიც თაობებში გრძელდებოდა ტრადიციით, მაგალითის ძალითა და ოჯახისადმი პატრიოტული დამოკიდებულებით.

სისტემატური კვლევით გამოვლენილია როგორც დრომოჭმული კონსერვატორულ-სატრიარქალური და მაგიურ-რელიგიური გადმონაშთები, ისე ხალხური აღზრდის რაციონალური ტრადიციები.

ნაშრომში გამოკვეთილია ის რაციონალური მარცვალი, რომელიც ქართული აღზრდის კულტურას ახასიათებდა როგორც ინტერნაციონალური, მოყვასის სიყვარულსა და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული აღზრდის ტრადიცია და ნათესაური გრძნობის გაძლიერებული ტენდენციის არსებობა.

ბავშვობიდან ასეთ გარემოში აღზრდა იყო, ალბათ, ერთ-ერთი საფუძველი ქართველი კაცის იმ დიდი შინაგანი კულტურისა, რომელიც შემდგომ ერის კულტურის გამოხატულებად იქცა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტრადიციულ ქართულ ოჯახში ბავშვების უფროსი თაობის მეთვალყურეობით აღზრდას. უფროს თაობასთან ერთად ცხოვრება ბავშვებს უვითარდება კოლექტიურობის გრძნობას, პატივისცემას, ხელს უწყობდა მათს გონებრივ აღზრდას. „საუკეთესო პედაგოგები ხალხის აზრით, სწორედ ბებიები და ბაბუები იყვნენ". „პაპას ზღაპრები" არაერთი სახელოვანი ადამიანის შემოქმედებიდან წყარო გამხდარა. „აზროვნება, გარესამყაროს აღქმადედის იავნანათი და ზღაპრით იწყებოდა".

ყურადღებას იპყრობს ხალხური აღზრდის მნიშვნელობა ბავშვის შრომითი თვისებების გამომუშავებაში. „შრომა აღზრდის მიზანიც იყო და საშუალებაც, ხოლო შრომისმოყვარეობა თვით აღზრდის შედეგი". ხალხურ პედაგოგიკაში ბავშვურ თამაშში ჩართული იყო შრომის ელემენტები. ბავშვების შრომითი აღზრდა იწყებოდა ადრეული ასაკიდან — 5-6 წლიდან: ვაჟის შრომითი საქმიანობა იწყებოდა მწყემსობით, გოგოსი — „საქალებო" თამაშობებით.

ავტორის მიერ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ხალხური თამაშობები ხელს უწყობდა მოზარდისათვის ფიზიკური გამძლეობის, სწრაფი ორიენტაციის, მოქნილობის, რაინდული ქცევისა და ჩვევების ჩამოყალიბებას.

ნაშრომს ერთვის ავტორის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, თანამედროვე მეცნიერულ პედაგოგიკაში, პროგრესული წეს-ჩვეულებების გამოყენებისა და მათი პრაქტიკული დანერგვების შესახებ.

ნ. კაპანაძის ნაშრომი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების გზაზე, მისი შინაარსობრივი საფუძვლების შემდგომი გამდიდრებაგაღრმავება კიდევ უფრო სრულყოფს არა მარტო ეთნოგრაფიულ ცოდნას ამ მიმართებით, არამედ სათანადო სამსახურს გაუწევს სოციალისტურ საზოგადოებაში მომავალი თაობის აღზრდისა და სრულყოფის საქმეს.

თ. ცაბარეიშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის დოცენტი.

ხალხური პედაგოგიკა თანამედროვეობის სამსახურში

ინტერნაციონალური

ვაჟკაცობის გამოცდა

...ავღანეთის

...ავღანეთის

...ავღანეთის